

„Frauenrechtsschutz im regionalen Kontext Georgiens“
(„katsa sozialiuri da samartebriwi mdgomareoba gardamawel periodochi“),
georgisch, 54 S.
Seminarunterlagen vom 25. Juni 1999, FES Georgien und Frauenrat Georgiens

საქართველოს ქალთა საბჭო
ფრიდრის ვებერტის ფონდი

ქალთა სოციალური და სეპარტულაჰიზი
ვღგომეარეობა
გარდაეგეველ კერიოდში

სემინარის მასალები

გ. კეაჭაძისა და რ. ჯაფარიძის
რედაქციით

A 00 - 02029



თბილისი
1999 წ.

პროგრამიკური რეფორმები და ქალთა აკაპტირება
საბაზრო ეკონომიკის პირობებში

წინამდებარე ბროშურაში გთავაზობთ 1999 წლის 25 ივნისს ქ. თბილისში საქართველოს ქალთა საბჭოს მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებული სემინარის მასალებს. სემინარის თემა იყო „ქალთა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში“. მასში მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ქალთა საბჭოების თავმჯდომარეებმა. სემინარზე გაიმართა მსჯელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქალთა ადაპტირების, მათი უფლებების დაცვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა როლისა და აქტიურობის ამაღლების პრობლემებზე. მიღებული იქნა რეკომენდაციები. ვფიქრობთ, ბროშურა დაეხმარება ქალთა საბჭოებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

საბჭოურმა მმართველურმა ეკონომიკამ, რომლის მართვა არსებითად დაფუძნებული იყო აღმინსტრირებასა და ექტაბტე, თავისი დრო მოჭაბა, ეკონომიკა მოექცა ჩიხში და საჭირო ვახლა მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა. ეს პერიოდი დაემთხვა სსრკ-ს დაშლას, გაწყდა სამეურნეო კავშირები, საწარმოებმა შეწყვიტეს მუშაობა—მუშაკთა დიდი არმია უმუშევარი დარჩა, მათ შორის ნახევარზე მეტი ქალი იყო.

რეფორმების საწყის ეტაპზე ხელისუფლების მხრიდან მძლავრობდა პოპულისტური ღონისძიებები, რამაც ვეღური ბაზრის შექმნის სამკომეტი გააჩინა ქვეყანაში. ეკონომიკა მიექანებოდა ღრმა კრიზისისაკენ.

ამ სიტუაციაში ქალს დააწვა დიდი გვირითი შვილების აღზრდის, ოჯახის მოვლისა და გამოკვების, სამუშაოს ძებნის სახით. იგი, როგორც საზოგადოების უმეტესი ნაწილი, მოუზმადებელი აღმოჩნდა ახალი პირობებისათვის. საჭირო იყო რადიკალური რეფორმების გატარება.

1994 წლის თებერვალში დამტკიცდა “მკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა”, რომლის თანახმად ქვეყანაში ინტენსიურად დაიწყო რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნები, მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა: საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სფეროს გარდაქმნა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების გეპეების მკვეთრი დაჩქარება, სოციალური სფეროს (განათლება, ჯანდაცვა) რეფორმა, ეკონომიკური თავისუფლების პრინციპების რეალურად განხორციელება.

ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ინფლაციის რეგულირება წარმოადგენს. წლიური ინფლაციის დონე 8500%-დან (1994) 13,5%-მდე (1996) შემცირდა. 1998 წლის შედეგებით კი 3,3% შეადგინა. რეფორმის ერთ-ერთი თვალსაზირობით მიღწევას სწორედ ეს მაჩვენებელი წარმოადგენს.

— სწორმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ ღარი აქცია გააბხდის ერთდღერთ რეალურ საშუალება.

საქართველოს ქალთა საბჭო მადლობას უხდის
ფრიდრიხ ებერტის ფონდს პროექტის დაფინანსებისათვის



ფულის რეფორმა ემყარებოდა ფინანსური სისტემის სტაბილიზაციის ღონისძიებებს. 1994-1996 წლებში განხორციელდა ფასების ლიბერალიზაციის დამამთავრებელი ეტაპის უმთავრესი ნაწილი. პურის ფასების (1994წ. 17 სექტემბრიდან) გამოთავისუფლების შედეგად შესაძლებელი გახდა დარგის სუბსიდიების შეწყვეტა. ეს დიდი ისტორიული მოვლენა იყო და იგი უნდა განვიხილოთ როგორც ეროვნული ბანკის სწორი საფინანსო-საკურდღეო პოლიტიკის შედეგი.

- განხორციელებული რეფორმის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი, რამაც საფუძვლიან ჩაუყარა ქვეყანაში კერძო მესაკუთრეთა მყარ ფუნის ჩამოყალიბების, შეიქმნა მესაკუთრეთა ახალი ფენა, რომელსაც საკმაოდ კარგი აპროტიკტი აქვს ჩვენი უცხოელი პარტნიორების თვალში.

დღეს პრივატიზებულია 13800-მდე მსხვილი და მცირე საწარმო, ბიუჯეტის შემოსავლების 74% სწორედ კერძო სექტორით იყვება.

- გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის რეფორმას.

950 ათასი ოჯახი, ხოლო ქალაქელთა ნიკეების ჩათვლით 1100 ათასი ოჯახი მიწის მესაკუთრე გახდა.

გრძელდება მშპ ზრდა- 1995წ.-2,4%-ით, 1996წ.-10%-ით, ხოლო 1997წ.-12%-ით, და ა. შ.

ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების დახმარების მეშვეობით. 1992-98 წლებში საქართველოსადმი დახმარებამ 2.350 მლნ ა.შ.შ. დოლარს გადააჭარბა, უპანიტიარულა, მათ შორის უმუშაოდ პროდუქტებსა და მდიდარ მენცებზე- 574 მლნ ა.შ.შ. დოლარი შეადგინა.

1998 წელს მსოფლიო ბანკმა დააფინანსა 80 მიკროპროექტი თითოეულის ღირებულება 50 ათ. ა.შ.შ. დოლარს შეადგენდა.

ამ პროგრამების განხორციელებაში ფართოდ არიან ჩამბული ადგილობრივი სახეივანოები, უმთავრესად, ჩვენი ახალგაზრდობა, ყველა იმ სიკეთესთან ერთად, რაც ამ პროექტების განხორციელებას მოსდევს, იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, რომლებიც ასე საჭიროა ჩვენი დუბჰონი ცხოვრების შემსუბუქებისათვის.

- ეკონომიკაში მიღწეული შედეგების კვალობაზე თანმიმდევრულად ხორციელდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. დღეისათვის საშუალო ხელფასი 70 ლარია, მათ შორის საბიუჯეტო სფეროში-39; რაც საარსებო მინიმუმის 30%-ია, ნაცუალად წინა წლების 8-9 პროცენტისა.

მოკლედ რომ შევაჯამოთ: ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზაციის მთავარი მიღწევები იყო: ინფლაციური პროცესების მართვა, ეროვნული

ვალუტის შემოღება, სახელმწიფო საკუთრების გრანფორმაცია და კერძო მესაკუთრეთა ფუნის ჩამოყალიბება, რის შედეგად კერძო სექტორის ხვედრითმა წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 70-75% შეადგინა, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე კერძო მესაკუთრების დაკანონება, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ მიწებზე კერძო მესაკუთრეთა ფუნის ჩამოყალიბება; პურის ფასების ლიბერალიზაცია, პურპროდუქტების სახელმწიფო კონტროლის დემონოპოლიზაცია და ამ სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნა, საცარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რაც გამოიხატება კერძოების, საექსპორტო და საიმპორტო კონტრაქტების რეგისტრაციის, საექსპორტო საბაჟო გადასახადის გაუქმებით, არასაკარგიო ბარიერებისა და შემდგომების, ექსპორტისა და იმპორტის დიფერენციალზე დაქვემდებარებული საქონლის ნომენკლატურის მკვეთრად შეზღუდვით; ბიუჯეტის შესრულების გაუმჯობესება, საფასვარად შემოსავლების მოზახ- ამავე დროს რეფორმებმა ჯერ კიდევ უფრო მოახლოეს გაყვანა მონსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე, ჯერ კიდევ დიდია ჩამორჩენილი ცალკეული ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

აღინშული ჩამორჩენის დაძლევისა და არსებული დადებითი გინდენციების განმტკიცების მიზნით ქვეყანაში შემუშავდა ეკონომიკური რეფორმების შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების პროგრამა, რომლის ძირითად ორიენტირად განისაზღვრა მოსახლეობის ცხოვრების ღონისძიება და სიღატაკის აღძვევა, რომელიც მიღწეულა უნდა იქნეს წარმოების რეაბილიტაციისა და დასაქმების გაუმჯობესების ღონისძიებათა მასობრივების საფუძველზე: ამ მიზნით გათვალისწინებულია გატარდეს გახლე რაც სოციალური ხასიათის ღონისძიებანი: მოსახლეობის შემოსავლების რეალურად გაზრდა, სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის მინიმალური გარანტიების შექმნა, რაც უნდა განხორციელდეს მოსახლეობის უღარიბესი, სიღატაკის მღვარს შიღმა დარჩენილი ფუნებისათვის, მინიმალური ხელფასისა და მინიმალური პენსიის ოდნობის დაწესებისას საარსებო მინიმუმთან მისი თანაფარდობის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფა, შრომის ანაზღაურების სისტემის რეგულირება შრომითი ხელმეგრულების საფუძველზე, შრომის ანაზღაურების სრულყოფა, ერთიანი საგარეო განაკვეთის საფუძველზე შრომის სირთულისა და კვალიფიკაციის დონეებს შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებით.

განხორციელდება ღონისძიებები სოციალური პოლიტიკის უმთავრესი მიზნის-შემოსავლების გაღანაწილების ოპტიმალური მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის სოციალური დამდევებისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმით.

მოსახლეობის შემოსავლების ფორმირების საქმეში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შენარჩუნების კვალბაზე გატარდება ღონისძიებები სოციალური ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილის კერძო სექტორისათვის გადაცემის ხელშეწყობის პირობების შესაქმნელად, განსაკუთრებით, კერძო სექტორის როლის ასაძაღვლელად სოციალური დაზღვევის (უმუშევართა დაზღვევის, საპენსიო დაზღვევის, ჯანმრთელობის დაზღვევის და სხვ.) სისტემის ჩამოყალიბებაში.

ნავარაუდელია არსებული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ორსაფეხურიანი სისტემად გარდაქმნა: პირველი საფეხური უზრუნველყოფს მინიმალურ საპენსიო შემწობას (ერთიანი განაკვეთით ან შენაგანების სიდიდის მიხედვით), ხოლო მეორე საფეხური—ინდივიდუალური საგადასახადო ან ნებაყოფლობითი საპენსიო შენაგანის სისტემის ჩამოყალიბებას. ამის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება პენსიების სამართლიანი დიფერენციაცია.

ყველა ამ ღონისძიების სტიმულირების მიზნით ნავარაუდელია 2000 წლისათვის მიღწეულ იქნეს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის საშუალო წლიური 8-10%-იანი წინსწრები მრდა იმპორტთან შედარებით, მშპ-ის მიმართ საგადასახადო შემოსავლების ხედვრითი წილის გადიდება 15-16 პროცენტის ფარგლებში.

გაიმრდება კერძო სექტორის როლი სამუშაო ძალის დასაქმებაში. მოწინაინდებება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, მოხდება სათანადო სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირების მიზნით მოზიდილი იქნება უცხოური და შიდასაინვესტიციო საკრედიტო რესურსები ქვეყნის ეკონომიკაში მათი ეფექტურად ჩართვისათვის. კომერციული სესხების სისტემის პოტენციალის სრული გამოყენების მიზნით შემუშავდება წამახალისებელი ღონისძიებანი, რათა კომერციულმა ბანკებმა თავიანთი საკრედიტო რესურსები მიმართონ მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებში დასაფინანსებელ პროექტების ინვესტირებაზე.

საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფისათვის საბიუჯეტო პოლიტიკის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს მშპ-ის მიმართ ბიუჯეტის დეფიციტის არა უმეტეს 3 პროცენტის დამუშავება 2000 წლისათვის. ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალდებულების მართვის სრულყოფა, მოსახლეობის წინაშე აღებული ვალდებულებების რეალიზაცია.

ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყენებული იქნება არაინფლაციური შიდა წყარო, როგორცაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების გზით მოზიდილი სახსრები.

გაგრძელდება სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია— გახზორციელდება ენერჯეტიკის, კაემირგაბამულობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურ-

ნეობისა და სხვა სფეროთა რესტრუქტურისაცაა და განსახელმწიფოებრიობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ამ სფეროში კერძო კაპიტალის მონაწილეობისათვის საჭირო პირობების შექმნას. ამჟღავნდება სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ქონების მართვის ეფექტურობა.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და დიდი ყურადღება დაეთმობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, გარემოს დაცვას, რეგიონებისა და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთშეთანხმებას.

შემუშავდება ერთიანი სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც განაპირობებს ქვეყნის სამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნას, ახალი დარგთაშორისი კონსორციუმების ჩამოყალიბებას, პრევატიზებულ საწარმოთა რეაბილიტაციას. შემუშავდება მრეწველობის რეაბილიტაციის, გაჯანსაღებისა და განვითარების სამწლიანი პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდილსათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას, სათანადო სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებას.

— ელექტროენერჯეტიკის სისტემაში მოხდება საბითუმო ბაზრის სრულად ჩამოყალიბება. ამ სისტემის სტრუქტურული გარდაქმნა, ალტერნატიული ენერჯიფიკაციის გამოყენება, ჯამის მეურნეობის, ნავთობისა და ნახშირის მოპოვებულ, ნავთობპროდუქტებით მომარაგების სისტემის საწარმოებში კერძო კაპიტალის მოზიდილს სტიმულირება, ჩატარებული ღონისძიებები საწინააღმდეგავი გახდება იმისა, რომ უახლოეს წლებში საქართველო გადაიტყუვა ელექტროენერჯეტიკის ექსპორტიორ ქვეყნად.

დასრულდება აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის საწარმოთა რესტრუქტურისაცაა და პრივატიზაცია, მაქსიმალური საკუთრება დამკვიდრება, მისი ბაზრის განვითარება. 2000 წლისათვის მიღწეულ უნდა იქნეს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, რაც გულისხმობს ქვეყნის მოთხოვნილების დამკვიდრებას სათანადო ხარისხისა და ასორტიმენტის საკუთარ პირობებში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად სასამართლო რეფორმის განხორციელება დაისახა, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას, ამავე დროს ამ სფეროს ძირეულ სტრუქტურულ რეორგანიზაციას.

გაფართოვდება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების უფლებები, იმ ვარაუდით, რომ შექმნილი ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა.

უმრუნველყოფილი იქნება სტატისტიკური ანგარიშების საერთაშორისო

სკანდარტების დონეზე მოწყობა, ამ მიზნით ახალი ინფორმაციული ბაზის ჩამოყალიბება.

ეკლავ გაფართოვება თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით გაეროსა და მის სტრუქტურებთან (UNDP, FAO, JFAD, WFP და სხვ.). საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ბისექის, დსთ-ს ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან, დღონორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ეკოლოგიურ ფონდებთან იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორგანიზაციების დახმარების პროგრამები შეუწყობდა ინვესტიციური ხასიათის განვითარების პროგრამებით.

– “ევროპა-კავკასია-აზია” საგრანსპორტო დერეფნის რეალურად ამოქმედების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს საგრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული ორიენტირების რეალიზაცია. მისი ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა შესაბამის კანონმდებლობითან პარმონიზაციის, რეინჯების, საავტომობილო, სამღვლო და შესაბამის ინფრასტრუქტურების განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობის საფუძველზე (გაერო, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და სხვ.) შემუშავდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ეკონომიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამები

რეფორმების ამ პროგრამის ხორცშესხმა გარკვეულად შეფერხდა 1998 წლის მეორე ნახევრიდან. რუსეთისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში დაწყებულმა დრმა ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი გავლენა იქონია ამავე დროს საქართველოს ეკონომიკაზე, ეს პროცესი გაღრმავდა ლარის განთავისუფლებასთან დაკავშირებულ კურსის დაცემასთან ერთად. საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია ქვეყანაში საფინანსო კრიზისი, მან კი გარკვეულად დაამუხრუჭა ეკონომიკის აღმასვლა.

1999 წლის I კვარტალის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის უმნიშვნელო ზრდასთან ერთად (12%), შემცირდა სამრეწველო პროდუქციის გაზომვება 1998 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და შემცირდა იგი თბილისში (22,6%), სამცხე-ჯავახეთში (44,3%), მცხეთა-მთიანეთში (18,1%) და შიდა ქართლში (6,3%). საგადასახადო და საბაჟო შემოსავლების გასული წლის მკვეთრი შემცირების შემდეგ, მიმდინარე წელს მათი ზრდის გენდენცია ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ პერიოდში გაიმარდა სახელმწიფოს როგორც საგარეო, ისე შიდა ვალი. ამ ფონზე ჩამოყალიბდა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც საკმაოდ მწირ-

ია და ნაკლებად ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარებას.

ქვეყანაში შექმნილ ამ პირობებში უძღვებათ დღეს საქართველოს ქალებს შრომა, მოღვაწეობა და ცხოვრება.

რეფორმები და გარდაქმნები ყველა ქვეყანაში დიდი ტკივილებითა და კატაკლიზმებით მიმდინარეობდა და გამოწვევის არც საქართველოა. თუ გაეთვალისწინებთ, რომ მსოფლიოს მასშტაბითაც და ჩვენს ქვეყანაშიც მოსახლეობის 52% ქალია – ეს ტკივილი უპირველესად ქალის ზეგნია. დასაქმებულთა შორის უმეტესობა ქალია, ანალოგიური მდგომარეობაა დაუსაქმებელთა მასაშიც და შესაბამისად შეადგენს 51%-სა და 67%-ს.

ქალი მოუღვლებს ცენტრში მისი ყველა სატიკავითა და სისარულით, ბუნებამ უხვად არუენა მას გვირით შრომის, სოჯახო ფორმირებზე და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში და ამიგობასა, რომ საზოგადოების ყველაზე დაზარალებულ ნაწილს დღეს ქალი წარმოადგენს.

სოციალურ სფეროში, მხედველობაშია ჯანდაცვისა და განათლების სისტემა, მიმდინარე რეორგანიზაციის პირობებში ყველაზე დიდი მსხვერპლი ქალმა გაიღო. მოგვსენებთ, ამ სფეროებში დასაქმებულთა 70%-ზე მეტე ქალია და, ბუნებრივია, აქ პერსონალის შემცირებაც მით ხარკზე მოხდა და ათასობით ქალი უშეშევირა აღმონდა.

უფრო ადრე მოხდა მრეწველობის ისეთი დარგების პარალიზება (1990 წლიდან), როგორცაა მსუბუქი, კვების, ადგილობრივი მრეწველობა, სადაც დასაქმებულთა 60%-ზე მეტე ქალი წარმოადგენდა. მარტო მსუბუქი მრეწველობის სისტემაში მოშუშავე 15000 კაციდან დღეს ამ საწარმოებს (რომელთა 70% დგას) შემორჩა 4000, შესაბამისად, აქაც ათასობით ქალი განათავისუფლდა და უშეშევირა დარჩა. ისიც აღსანიშნავია, რომ როცა საკითხი დგება პერსონალის შემცირებაზე, არჩევანი ქალზე კეთდება. მას ჯერ კიდევ სუსტად იცავს ჩვენი კანონმდებლობა, რაც ერთი მხრივ ქალის მიერ თავისი უფლებებისა და მოვალეობების, უმეტეს შემთხვევაში, გაუთვითმხივრებლობაა, მეორე მხრივ, სათანადო სამართლებრივი ბაზის უქონლობა – დღემდე არ გვაქვს კანონები “დასაქმების შესახებ”, “შრომის კანონთა კოდექსი”, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საკანონმდებლო დებულებებს “შუშაქთა განთავისუფლების შესახებ”, “შრომის ანადაღურების შესახებ”, “მინიმალური ხელფასის შესახებ”, “მეშეულების შესახებ”, “საქენსიო უზრუნველყოფის შესახებ”, “სამუშაო დროის შესახებ” და სხვა, რამაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ამ სფეროში ურთიერთობების დარეგულირებაში. თუ გაეთვალისწინებთ იმასაც, რომ ქალთა საკმაო რაოდენობა მარტოსულად ეწევა სოჯახო მეურნეობას და ჩვენი გრადიციების მიხედვით შედეგების სწავლა-აღზრდის გვირით ქალის მხრებზეა, ადვილად წარმოსადგენია დღეს ქალის ფსიქო-ნეურული

მდგომარეობა. სიცოცხლის გადარჩენის ინსტიტუტი მას აიძულებს ხშირად ქალისთვის შეუფერებელი სამუშაო შეასრულოს.

დღეს გარკვეული ღონისძიებები გარდება უმუშევართა დასაქმებისა და ახალად სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით – მიმდინარე 1999 წელს ბიუჯეტში უმუშევართა დასაქმების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებულია გარკვეული ფინანსირება სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების, გაეროს განვითარების პროგრამების, სოციალურ სფეროში საინვესტიციო პროგრამების ფარგლებში.

ქალთა ფართოდ ჩაბმისათვის სამეწარმეო საქმიანობაში დღეს პრაქტიკაშია გლეხური მეურნეობების, ფერმერული, საოჯახო მეურნეობების, კოოპერატივების ჩამოყალიბება. საკმარისია ითქვას, რომ დღეს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 80-90% კერძო სექტორში იწარმოება (კარტოფილი, ხორცი, ხახვი, ხორბალი, ხილი და სხვა).

სოფლად საკრედიტო კავშირების შექმნა დიდად უწყობს ხელს ამ დარგის შემდგომ განვითარებას და შესაბამისად მუშა-ხელის დასაქმებას.

კარგი გამოცდილება აქვთ ევროპის ქვეყნებს სოფლად მეწარმეობის განვითარების საქმეში, რომელიც ჩვენი გლეხობისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. მაგ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ მცირე მეურნეობებს, რომლებიც შექმნილია ვიწრო პროფილით, მაგ. მეთესლეობის, მეკარტოფილობის, მებოსტნეობის და სხვა მიმართულებით, სადაც ქალთა 50%-ია დასაქმებული.

არ იქნებოდა ურიტო უნგრეთისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე ჩვენთან სოფლად სასოფლო-სამეურნეო-საოჯახო კავშირების შექმნა, რაც ერთდროულად გადაწყვეტდა სასოფლო პროდუქციის მოყვანის, დამზადების, გასადების და გაყვლის პრობლემებს. ამ მიზნით ასამოქმედებელია ყოფილი დამამზადებელი პუნქტები, რომლებიც დღეს გაბარებულია და არ ფუნქციონირებს.

იაპონიაში შექმნილია “მცირე საწარმოების კრედიტების გარანტიისა და საქმიანობის დაზღვევის მოსახურავი სისტემა”. დაზღვევის უზრუნველყოფიდან გარანტიად საკრედიტო ორგანოების წინაშე.

გერმანიაში საეკიალური ბანკები იქმნება, რომლებიც გარანტის როლს კისრულობენ. აქ ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი კრედიტები: მრეწველობაში გაიცემა – 15 წლით, სოფლის მეურნეობაში – 10 წლით, მშენებლობაში – 23 წლით და ა.შ.

სოფლისა და ქალაქის გათიშულობის გამო მეწარმეობის განვითარება მფართო გასაქანი ვერ პოვია. მაგ. ქალაქის (თბილისის) მოქალაქეთა

ერთმა ნაწილმა იჯარით აიღო კახეთის სხვადასხვა რაიონში მიწა ხორბლის, ხახვის და სხვა პროდუქციის მოსაყვანად, ჯერ ერთი, ამან სოფლის მოსახლეობის უკმაყოფილობა გამოიწვია და მეორეც, გაჭირდა მოყვანის მოსახლეს რეალიზაცია. ზემოთ აღნიშნული კავშირების შექმნა კი ამ პრობლემებს ადვილად გადავლდია.

მცირე ბიზნესის ხელშეწყობა საბაზრო ეკონომიკის მშენებარე ყველა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურების ძალისხმევით დღეს ჩვენთან ხორციელდება სხვადასხვა პროექტი, რომლებიც ქალთა დასაქმების მნიშვნელოვან საშუალებებს წარმოადგენს: მაგ. ოქსფამის (ბრიტანეთის) ფირმის მიერ დაფინანსებული იქნა “მცირე საწარმო” – საერთაშორისო, სადაც 25 ქალმა აიღოვა თავისი ადგილი, “უნისფის” მიერ დაფინანსებულ იქნა ქალთა შინ დასაქმების პროექტი – ბავშვთა ტრიკოტაჟის ნაწარმის ხელით დამუშავების მიმართულებით და სხვა.

ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილია მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ფონდი, რომელიც დიდ მუშაობას ატარებს ამ სფეროს განვითარების ხელშეწყობისათვის.

მაგრამ კვლავ ბევრი გადაუღებელია წინააღმდეგობა, რაც ხელს უშლის ქვეყანაში მცირე ბიზნესის, როგორც ეფექტური, მოქნილი, დინამიკური სფეროს განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია კორუფცია და ბიუროკრატია, სერიოზულ პრობლემებს ქმნის აგრეთვე საქართველოში დღეს არსებული სასამართლო სისტემა.

ჯერ კიდევ სუსტად მონაწილეობს საბანკო სისტემა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის რეაბილიტაციის საქმეში, ბანკისა და სოფლის მეურნეობის მრეწველობის, ბანკისა და მშენებლობის, პარსკისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის წარმატებით დამკვიდრება.

ქვეყანაში სტრუქტურული რეფორმების აღწერებისათვის აშშ-ს საელჩოსთან ერთად და მისი დიდი დახმარებით დამუშავდა ღონისძიებები 5 ძირითადი მიმართულებით: 1) ფისკალური სიტუაციის ნორმალიზაცია; 2) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; 3) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების უფლების მინიჭება; 4) პრივატიზაცია; 5) მცირე და საშუალო მეწარმეთა დახმარება.

საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს ავტომატურად კეთილდღეობას, მით უმეტეს თავისუფლებას. მისი ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭიროა გაკეთვალისწინოთ ორი მნიშვნელოვანი ასპექტი:

– უნდა მივაღწიოთ საბაზრო-მეურნეობრივი მოწყობის სრულ განვი-

თარებას, რაც შესაძლებელია მხოლოდ თითოეული მოქალაქის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთიანი ძალისხმევით.

— საბაზრო-მეურნეობრივ მოწყობასთან ერთად საჭიროა ჩვენი ყველა საქმიანობა ნებისმიერ სფეროში ეკონომიკურ ინტერესებს დაუქვემდებაროთ და ყველაფერში ეკონომიკური პოტენციალი განვიხილოთ. საბაზრო მეურნეობა, ან კერძო საკუთრება წარმოადგენს ინსტრუმენტს და იმაზე, ვინ როგორ, რამდენად უნარბიად გამოიყენებს მას, დამოკიდებულია საქმის ეფექტურად წარმართვა.

დღეს საქართველო თავისი ეკონომიკური მდგომარეობით განვითარებადი ქვეყნების რანგშია. ქვეყანაში შემუშავებული ღონისძიებები, რეფორმის ახალი ეტაპის პროგრამის განხორციელება იმის გარანტიაა, რომ "2000 წლისათვის იგი ეკონომიკური აღმავლობის, სიღატაკის დაძლევის, აყვავების გზაზე დამდგარი ქვეყანა იქნება" (საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინასაარჩევნო პროგრამიდან).

რ ე კ მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ა

1. ქალთა საქალაქო და რაიონულმა ორგანიზაციებმა:

ა) სამართლებრივ საკითხებზე (რეფორმების მიმართებით) წინასწარ შემუშავებული თემატიკის მიხედვით, ადგილობრივი ეკონომიკური სამსახურის დახმარებით, პერიოდულად ჩაატარონ თათბირ-სემინარები ქალთა მონაწილეობით.

ბ) მოაწიონ ცალკეული ნორმატიული აქტის საჯარო განხილვა, მათი შეწყველის მიზნით.

გ) რაიონის ეკონომიკური სამსახურის მეშვეობით პერიოდულად გაუკეთონ ინფორმაცია ქალთა საზოგადოებას რევიონში რეფორმების მიმდინარეობისა და აქ არსებული პრობლემების გადაჭრისათვის გატარებული ზომების შესახებ.

დ) რეგულარულად (წელიწადში ერთხელ) შეისწავლონ ქალთა დასაქმების მდგომარეობა და შედეგები განსახილველად შეიტანონ შესაბამისი გაამეობის ან საკრებულოს სხდომაზე.

ე) რეგულარულად (წელიწადში ერთხელ) შეისწავლონ ბიზნესში დასაქმებულ ქალთა შრომის პირობები, აქ არსებული პრობლემები და შესაბამისი წინადადებები დააყენონ გამგეობისა ან საკრებულოს წინაშე.

2. შეკვლებისადგარად მოქალაქე ქალთა მკვირ ბიზნესის ხელშეწყობის საკონსულტაციო ცენტრი გამგეობის შესაბამისი სამსახურების (ეკონომიკური, იურიდიული, სოციალური) ბაზაზე.

3. ეთნოკულტურული სახელმწიფო კანცლარიას, მიიღოს სათანადო ზომები საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოსახლეობისათვის განმარტებითი საქმიანობის განსახორციელებლად.

ლიზა მამაძე

სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს შრომითი ურთიერთობებისა და შრომის დაცვის სამმართველოს უფროსი

ქალთა ლასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის სამსახურის საბაზრო ქაონომიკის პირობაში

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა დიდ სოციალურ დანაკარგებთანაა დაკავშირებული. ეკონომიკაში რეფორმების გატარება განაპირობებს ობიექტური ხასიათის სირთულეებს. განაწილების სოციალისტური პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების გაწყვეტამ, წარმოების ღონის დაცვამ გამოიწვია უმუშევრობის მასშტაბების მკვეთრი ზრდა და დასაქმებულთა რეალური შემოსავლების შემცირება

აქედან გამომდინარე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს მოსახლეობის სრული და პროდუქტიული დასაქმების უზრუნველყოფა უნდა წარმოადგენდეს. ჩვენს ქვეყანაში ამ ურთულესი ამოცანის რეალიზაცია უდიდეს სახელმწიფოებრივ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან ამჟამად შრომის ბაზრის ყოველ სექტორში რთული ვითარებაა. მიუილი რთვი ეკონომიკური, სოციალური, სტრუქტურული და დემოგრაფიული ფაქტორების შეგუვლით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქალები, რომლებიც მოსახლეობისა და შრომითი რესურსების უმრავლესობას შეადგენდნენ. შეიქმნა დისბალანსი ქალისა და მამაკაცის მონაწილეობის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. დაბალია ქალთა მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური სფეროების განვითარების კონტეყრების შემუშავებასა და განხორციელებაში. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში ქალები მოსახლეობის 52.2 პროცენტს შეადგენს, 15 წლზე უფროს ასაკის მოსახლეობაში — 53.7 პროცენტს, აქტიურ მოსახლეობაში კი — 46.9 %.

საქართველოში მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ქალთა ხვედრითი წილის ზრდა განაპირობა მიგრაციულმა პროცესებმა. იმის გამო, რომ ქვეყნიდან გასული მოსახლეობის 60—65 %-ს მამაკაცები შეადგენენ, ქალთა ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში გაიზარდა.

შინამეურნეობის კვლევის მასალებიდან ჩანს, რომ დაქირავებული შრომით დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში ქალთა ხვედრითი წილი 47.7 % - ს შეადგენს, ხოლო დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში — 47.3 % - ს.

დასაქმების სფეროში შექმნილმა მდგომარეობამ უარყოფითად იმოქმედა ქალთა პროფესიულ-კვალიფიკაციურ შემადგენლობაზე. სამუშაოს გარეშე დარჩენილი მაღალკვალიფიციური კადრები დარჩნენ რა სამუშაოს გარეშე, განიცდიან დეკვალიფიკაციას, კარგავენ წლების განმავლობაში დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას.

მიღებული ცოდნის მორალური ცვეთის, პროფილური დარგების პარალელურობისა და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო, ქალთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა საერთოდ დატოვა შრომის ბაზარი, ნაწილი კი იძულებულია იმუშაოს დასაქმების ისეთ სფეროებში, რომლებიც მათთვის არაპროსტიკულად და, რაც მთავარია, არაპროდუქტიულად ითვლება.

მინარეზონების კვლევებიდან ჩანს, რომ უმუშევარი ქალების 43,4 პროცენტი არარეგისტრირებულია.

მიმდინარე წლის მაისის მონაცემებით, უმუშევართა საერთო რაოდენობაში 55,2 პროცენტი ქალია. კვალიფიკაციის დონის მიხედვით ეს სურათი ასეთია: (იხ. დანართი 1)

- უმაღლესი განათლებით – 29,4 %
- საშუალო საყვარული განათლებით – 27,0
- საშუალო განათლებით – 37,0

შრომის ბაზარზე შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა განაპირობა ეკონომიკის განვითარების არსებულმა დონემ. ასეთ პირობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკონომიკის „ფარული სექტორი“, სადაც ქალთა თვითდასაქმების ხვედრითი წილი 47 პროცენტს შეადგენს. თვითდასაქმებულია მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე და შესაბამისად მათი ანაზღაურების დონეც დაბალია.

ამკამად, როდესაც საქართველოში უკვე დაძლეულია ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მტკივნეული პერიოდი, მთელი აუცილებლობით დევნა დასაქმების აქტიური პოლიტიკის შემუშავების და რეალიზაციის საკითხი. საჭიროა ისეთი საკანონმდებლო – ნორმატიული, პროგრამული და ინფორმაციული ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბებას, მოსახლეობის ყოველი სოციალური ჯგუფის დასაქმებისა და სოციალური დაცვის პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტას.

ქალთა მდგომარეობა სამუშაო ძალის ბაზარზე სპეციფიკურია და იგი გამოისახება სამოგალოებრივ წარმოებაში დასაქმებისა და ოჯახური ფუნქციების შეხამების აუცილებლობით. მათთვის სასურველია დასაქმება შედარებით მსუბუქ სამუშაოზე, მოქნილი სამუშაო რეჟიმის პირობებში და ა.შ. ამრიგად, ქალები საჭიროებენ არა მარტო თავისი კვალიფიკაცი-

ის შესაბამის სამუშაო ადგილებზე დასაქმებასა და შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფას, არამედ სოციალურ დაცვასაც. რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო ნორმებით. საბარბალონო მოიხიბვას აღინიშნოს, რომ მათი დიდი ნაწილი გათვალისწინებული იყო საბჭოთა კანონმდებლობითაც და იგი ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული საქონთველოს მოქმედ კანონმდებლობაში. მაგრამ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისას, არსებითი, ძირითადად, უარყოფითი ცვლილებები მოხდა მათი პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში. საინტერესოა, რომ რეგისტრირებულ უმუშევრებში შექმნილების გამო გათავისუფლებულთა ხვედრითი წილია 31,4 %, მაშინ, როდესაც ქალთა შორის – 39,5 პროცენტი. ამრიგად ქალები უფრო მეტად ექვემდებარებიან შემცირებას, ვიდრე მამაკაცები, რაც, ჩვენი აზრით, დამსაქმებელთა მხრიდან ქალების მიმართ მოკიდებული იქნა მათი თვისი არიდებით არის გამოწვეული.

ახლო წარსულში ქალებს შესაძლებელი წვლილი შექონდათ ოჯახის ბიუჯეტის ფორმირებაში, აქმაზად კი მათი შემოსავლები მნიშვნელოვანწილად გაუფასურდა. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს ერთგულ მუშაონებობაში დასაქმებულია შემოსავლების სტრუქტურა, მათ შორის, შრომის ანაზღაურების სფეროში დიფერენციაციის სქესობრივი ასპექტი.

ცნობილია, რომ ქალების განაწილება ხელფასების მიხედვით ჯგუფება ორი ექსტრემუმი ირგვლივ. შრომის ანაზღაურების ასეთი სტრუქტურა განპირობებულია მათ ცხოვრებაში შრომითი აქტივობის ორი პერიოდი: ბავშვების დაბადებამდე და ლეკვრული შვილების შემდეგ. ამრიგად, ქალს უნდება თავისი შრომითი საქმიანობის ხელახალი დაწყება და ქვსიაზე გასვლამდე ის ვერ ასწრებს კვალიფიციური კიბის მაღალ საფეხურზე ასვლას. ამითაა განპირობებული თვით განვითარებულ ქვეყნებშიც კი ქალთა შრომის ანაზღაურების დონეების ერთგვარი ჩამორჩენა მამაკაცებთან შედარებით. თუმცა კონკრასტი დღევანდელ საქართველოში გაუმართლებლად მაღალია. უკრძოდ, მინამეკონომიის კვლევის მასალებიდან ჩანს, რომ დაქირავებით დასაქმებულ ქალთა საშუალო ხელფასის ხვედრითი წილი ეკონომიკის სექტორების მიხედვით შეადგენს მამაკაცების ხელფასის 49,5 %-ს (იხ. დანართი №4). მათ შორის სახელმწიფო საკუთრების საწარმოში – 53,7 პროცენტს, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებში – 49,5 %-ს, არასახელმწიფო საკუთრების საწარმოში – 55,3 %-ს. დაქირავებულია საშუალო თვიური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით კი ასეთია (იხ. დანართი 3):

ვლექტროენერჯია. გამა, წყალმომარაგება – ქალის საშუალო ხელფასი შეადგენს მამაკაცის საშუალო ხელფასის – 63,2 %-ს.

მშენებლობა – 34,2 პროცენტს.

ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი - 58,7%-ს
გრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 55,7 %-ს.

განათლება - 76,0 %-ს.

ჯანდაცვა - 56,0 %-ს.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია განსხვავება დასაქმების სახეების მიხედვით. დაქირავების საფუძველზე მომუშავე ქალების საშუალო თვიური გამომუშავება 32,4 ლარს შეადგენდა, თვითდასაქმების მიხედვით კი 46,9 ლარს, ანუ - 144,7 პროცენტს.

სრულიად ნათელია, რომ ქალები ძირითადად დაქალებული არიან დაბალკვალიფიციურ და დაბალანბმადურებად სამუშაოებზე და გაცილებით ნაკლებ ხელფასს ღებულობენ მამაკაცებთან შედარებით. შრომის ანაზღაურების სფეროში სქესობრივი ნიშნით ფორმალური დისკრიმინაციის არარსებობის პირობებში მუშაკის გამომუშავება განისაზღვრება მისი შრომის ფუნქციონობით. მიუხედავად ამისა, ხელფასის მიხედვით განაწილებილია მანს, რომ, რაც უფრო მაღალია ხელფასის დონე, მით მეტია მასში მამაკაცების ხვედრითი წილი და პირიქით. უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა და მამაკაცთა სამუშაო ძალისადმი და, შესაბამისად, სამუშაო ძალის ფასისადმი დამსაქმებლებს და საერთოდ, მეურნე სუბიექტებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ, რაც უპირველეს ყოვლისა ხელფასის სიდიდით გამოიხატება (იხ. დანართი № 5).

ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასზე ნაკლები გამომუშავება პქონდა ქალთა 35 პროცენტს და მამაკაცთა მხოლოდ 32 %-ს. შედარებით მაღალი (75-105) ხელფასი პქონდა ქალთა 28,4 პროცენტს. სრულიად უმნიშვნელოა ქალების ხვედრითი წილი მაღალშემოსავლიანთა შორის.

საერთოდ, გერმინი „მაღალი ხელფასი“, ქვეყნის თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, მეტად პირობითია. ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი ცხოვრების და შრომის პირობებს. აქედან გამომდინარე, უფრო მართებული იქნება, განვიხილოთ ხელფასი საარსებო მინიმუმთან კავშირში.

უკანასკნელ პერიოდში საშუალო თვიური ხელფასი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის მხოლოდ 43,2 პროცენტს შეადგენს.

მატერიალური უზრუნველყოფის მაჩვენებელი საკმაოდ განსხვავებულია დასაქმების სახეების მიხედვით. ასე მაგ. დაქირავების საფუძველზე მომუშავე ქალთა საშუალო ხელფასი საარსებო საშუალებების მხოლოდ 25,4 %-ს აკმაყოფილებს, მაშინ როდესაც თვითდასაქმებულების მიხედვით - 38,5 %-ს.

თანამედროვე პირობებში სამუშაო ძალის ბაზრის ფორმირების პროცესზე ეკონომიკური ფაქტორების გავლენა სუსტია და იგი გამოიხატება

ხელფასისა და შრომის საბოლოო შედეგების ურთიერთკავშირის დარღვევით ხელფასი, როგორც სამუშაო ძალის ფასი, დღეისათვის წინანდლმდე ნაკლებად უკავშირდება საარსებო საშუალებების ღირებულებას და ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის არათუ გაფართოებულ, არამედ მარტივ კვლავწარმოებასაც კი.

ბოლო პერიოდში, პოზიტიური ძვრებისა და ეკონომიკური ზრდის გენდინების ჩამოყალიბების მიუხედავად, ხელფასი კვლავ არასაკმარისად არის დაკავშირებული ეკონომიკურ ინტერესებთან. ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულია შრომის ანაზღაურება სუსტადაა დიფერენცირებული.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში ხელფასის დაღვნისა და რეკუ-ლირების პროცესში სახელმწიფოს როლი, უფრო სოციალურია, ვიდრე ეკონომიკური. სახელმწიფოს მთავარ ფუნქციას მოსახლეობის შემოსავლების მინიმალური დონის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მინიმალური ხელფასი კი მუშაკთა სოციალური დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. ამასთან ერთად, იგი მოსახლეობის გაღაბდისუნარიანი მოთხოვნის ფორმირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

ქალთა შრომის უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, ღვადათა და ბავშვთა უფლებები დატულია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს კანონით.

ქალთა შრომის დაცვის და შრომითი ურთიერთობის საკითხები რეგულირდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (მ.ს.ო) კონვენციებითა და რეკომენდაციებით. ამ მიზნით აღსანიშნავია:

1919 წლის კონვენცია „საწარმოში დედობის დაცვის შესახებ“, რომელიც გადაისინჯა 1952 წელს. აღნიშნული კონვენცია ვრცელდება როგორც სამრეწველო, ისე არასამრეწველო სფეროში, სოფლის მეურნეობასა და შინამეურნეობაში დასაქმებულ ქალებზე. კონვენცია ითვალისწინებს ქალთა უფლებების დაცვას, შეღავათებს და დახმარების ფორმებს, საწარმოში ორსულებისა და მშობიარობის პირობებში;

1948 წლის კონვენცია „ქალის შრომა და მოთ“;

1935 წლის კონვენცია „მწიფევა სამუშაოებზე ქალის შრომის შესახებ“.

გეომო აღნიშნული კონვენციების მოთხოვნები ნაწილობრივ გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში, კერძოდ: ქალებს შრომის ანაზღაურება ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში, უხელფასო შვებულება დედებისათვის, რომელთაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვები, შვიმე და მავნე პირობებში ქალის შრომის აკრძალვა, მცირეწლოვანი ბავშვთან ქალების დამის საათებში მუშაობის აკრძალვა და ა.შ. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ქალთა სოციალური დაცვის საკითხი ვერ კიდევ არ არის დარეგულირებული.

რეკონსტრუქციები

ქალთა როლის ამაღლებისათვის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და მათი სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. დასაქმების ეროვნულ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმოს ქალთა დასაქმების საკითხს.
2. ქვეყანაში ეკონომიკის რესტრუქტურაციის პერიოდში გათვალისწინებულ იქნეს ისეთი ღონისძიებების ფუნქციონირება, სადაც მაქსიმალურად გამოყენებული იქნება ქალთა შრომა.
3. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ქალთა დანიშნავს ხელმძღვანელ სამუშაოებზე.
4. შემუშავდეს ქალთა სოციალური დაცვის პროგრამა, რომელიც ძირითადად გაითვალისწინებს მომუშავე ქალთა, მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა სოციალურ დაცვას.
5. ქალთა შრომითი ურთიერთობების რეგულირების ცივილიზებული მეთოდების დანერგვის მიზნით, მოხდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტის მიერ.
6. ქალთა მიერ თავიანთი უფლებების უკეთ განცნობიერების მიზნით, შრომითი ურთიერთობების, დასაქმებისა და შრომის დაცვის სფეროში, ქალთა საბჭოებმა გააქტიურონ მუშაობა შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების გასაცნობად ქალთა ფართო სპონსორობისათვის, ამისათვის მოაწიონ საჯარო განხილვები, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები საკითხების მიხედვით.

დანართი № 1

უმუშევრა რაოდენობა კვალიფიკაციის მიხედვით (1999 წლის მაისის მონაცემებით)

	რეკონსტრუქცია (საი)	სეკტორით წელი
1	უმუშევრები სულ გ მ ქალები	55,2
	101789	
	56248	
	კვალიფიკაციის მიხედვით	
	16563	29,4
	15186	27,0
	21101	37,5

დანართი № 2

საბარათველურ-მრეწველურ-ბაზაში მუშაობის პერიოდში (საბარათველური მუშაობის რაოდენობა)

	სულ თა. ადამ.	გ. მ. ქალები (თავსებრი)
1	3059,1	1659,3
2	2076,0	974,8
	1731,1	833,7
	989,3	327,9
	151,6	43,3
	304,9	15,0
	269,8	123,9
	537,9	29,3
	1033,0	694,3
	16,0	16,0

ლაქონომიკური საშუალო თვიური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეობებისა და სქესის მიხედვით

	ლარი			
	სულ	ქალები	მამაკაცები	%
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა	32,8	21,7	37,8	57,4
სამთო ან გადაამაშუიებელი მრეწველობა	61,6	57,2	64,2	89,9
ელექტროენერჯია, გაზი, წყალმომარაგება	58,3	39,8	62,9	63,2
მშენებლობა	100,0	36,7	107,0	34,2
ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი	63,4	46,5	79,2	58,7
გრანსპორტი, კომუნიკაციები	71,1	44,8	80,4	55,7
სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა	66,4	46,0	73,1	62,9
კანონმდებლობა	25,2	23,4	30,8	76,0
ჯანდაცვა	27,1	23,7	42,3	56,0
კულტურა, სპორტი, დასვენება, სხვა მომსახურება	53,0	34,4	68,6	50,1
სხვა დარგები	54,2	46,6	62,7	74,3
არაა მითითებული	79,6	20,7	137,1	15,1
სულ	49,0	32,4	65,4	49,5

დანართი №4

ლაქონომიკური საშუალო თვიური ხელფასი ეკონომიკის სექტორებისა და სქესის მიხედვით

	ლარი			
	სულ	ქალები	მამაკაცები	%
სახელმწიფო სექტორი, მათ შორის:	48,6	32,7	60,9	53,7
სახელმწიფო საკუთრების საწარმო				
საბიუჯეტო ორგანიზაცია ან დაწესებულება	36,8	26,0	52,5	49,5
არასახელმწიფო სექტორი, მათ შორის:				
არასახელმწიფო საკუთრების საწარმო	69,3	46,7	84,4	55,3
უცხოეთის ან ერთობლივი საწარმო, ორგანიზაცია	180,6	191,8	176,5	108,7
სხვა	66,1	46,6	76,2	61,1
არაა მითითებული	38,7	21,5	48,7	44,1
სულ	49,0	32,4	65,4	49,5

ხელფასის განაწილება სქესის მიხედვით

დარიცხული ხელფასი	ქალები	მამაკაცები
მილიანად %	100,0	100,0
მ.შ. ხელფასი აქეთ:		
20 ლარამდე	3,7	-
20-33	33,3	0,5
33-40	36,0	3,7
40-50	1,2	20,0
50-70	25,8	17,5
70-100	-	38,9
100-150	-	18,3
150-280	-	1,1

ნათია თურნაძე

*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
საქართველოს სახელმწიფო ანკველარის
ფულად-საკრედიტო, ფისკალური პოლიტიკისა და
სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა
სამსახურის უფროსის მოადგილე*

ქალთა მონაწილეობა საქართველოს კერძო ბიზნესში

ქალთა პრობლემატიკა საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ქვეყანაში არსებულ ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ამიტომ ნათელია, რომ მისი დიდი ნაწილის სასიკეთოდ გადაწყვეტა მოსალოდნელია ეკონომიკური გარდაქმნების წარმატებულ განხორციელების კვალობაზე. ამავე დროს, მთავრობა ახორციელებს გარკვეულ მიზანმიმართულ ღონისძიებებს ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკურ პროცესებში მათი როლის გააქტიურებისათვის.

საქართველოში ამჟამად შექმნილია გარკვეული სამართლებრივი ბაზა, რათა ცივილიზებული მიდგომების გამოყენებით დაეხმოს ქალთა თანასწორუფლებიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, ეკონომიკაშიც.

კერძოდ, საქართველო შეუერთდა “ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ” გაეროს კონვენციას, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნაა – ყველა შესაბამისი ზომის მიღება ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად ისეთ საკითხებში, როგორცაა დასაქმება, სამსახურში აყვანა, პროფესიის თავისუფალი არჩევა, შრომის ანაზღაურება და შედეგადად სარგებლობა, სოციალური უზრუნველყოფის საკითხები, შრომის უსაფრთხოების დაცვა და ა. შ.

ამავე კონვენციით განსაზღვრულია ორსულობის მიმდებარე ქალების სამსახურიდან დათხოვნის მკაცრი აკრძალვა, დეკრეტული შევლებების შემოღება სამუშაო ადგილის აუცილებელი შენარჩუნებით და სხვა შედეგადად.

აღინიშნული დებულებები ასახულია საქართველოს შესაბამის კანონმდებლობაში, კერძოდ, შრომითი კანონმდებლობის ნაწილში. ამჟამად, ყველაზე დიდ ამოცანას წარმოადგენს – კანონებსა და სხვა სახის ნორმატიულ აქტებში ჩადებული დებულებების რეალურ ცხოვრებაში სრული დანერგვა და მათ შესრულებაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის დაწესება.

ქალების წინაშე მდგარი ეკონომიკური ხასიათის სირთულეების შესუსტებისაკენ მიმართულია, საბოლოო ჯამში, განათლების სფეროში დასაქმე-

ბულთა შრომის ანაზღაურების მოქსრიდობისათვის დაკავშირებული ღონისძიებებიც. თუმცა, განათლების სისტემის რეფორმირება შეუძლებელია შტატების შემცირების გარეშე და ამდენად, მტკივნეულად მიმდინარეობს.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად გაიმზღვილი სამთავრობო ღონისძიებები, რომლებიც აქტიურად ხორციელდება ეკონომიკური რეფორმების ფრთხილად. სწორედ საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ერთად საქართველოს მოსახლეობის დიდ ფენას და მათ შორის, ქალებსაც მიეცემათ შეწარმოებრივი საქმიანობის გამართვის რეალური შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში კი ქართველი ქალები მარტოოდენ სახელმწიფო დახმარების იმედად კი აღარ იქნებიან, არამედ თავადაც შეძლებენ საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახების რჩენას. უფრო მეტიც – ისინი თავად დაეხმარებიან სახელმწიფოს, შეიძენენ რა ბიუჯეტში საკუთარ წილს, რადგან ცნობილია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკის გამართული ფუნქციონირების გარანტია სწორედ ბიზნესმენთა ძლიერი საშუალო ფენაა.

მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ხასიათის ფაქტორებთან ერთად გარკვეულ ევოლუციას განიცდობდა თვით დამოკიდებულება ქალთა დასაქმების და ეკონომიკაში ქალთა როლის მიზართ. ცნობილია, რომ როგორც საბჭოთა პერიოდში, ასევე დღესაც, ქართველი ქალები იმართდნენ და იმართებენ კიდევაც იგივე წილებდერს, რასაც მთელი მსოფლიოს ქალები. კერძოდ, ეს არის სამსახურისა და საოჯახო შრომის ურთიერთშეთავსების აუცილებლობა.

საწესხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ხშირად შეხვდებით ისეთ მოსუქტურსა და უსაფუძვლო შეხვედრებს, რომელთა გამოც ბიზნესის დაწყებისას ქალს მამაკაცთან შედარებით უფრო უჭირს ოფიციალური თუ კერძო სტრუქტურების მხარდაჭერის მოპოვება, საბანკო დაწესებულებებში კრედიტის აღება, საქმიანი პარტნიორობის პოვნა და სხვა. ერთი სიტყვით, ბიზნესმენ ქალს ჩვენში მოგვჯერ გარკვეული და სრულიად გაუგებარი ეჭვით შეაყურებენ. ცალკე პრობლემას წარმოადგენს იურიდიული ხასიათის სირთულეები, რომლებსაც აწევდა ქალი საკუთარი ბიზნესის წამოწყებისას და მის რეგისტრირებისას, ასევე გამოძალავსა და რეკვირებს დაკავშირებული სამსმროოების (თუმცა, ამ უკანასკნელი ფაქტორის მოქმედება ბოლო ხანებში საგრძობლად შესუსტდა).

მეწარმეობრივი საქმიანობის დაწყების სურვილი დღესდღეობით გაანხია მრავალ ქალს, მაგრამ მათ მნიშვნელოვნად აფერხებს აუცილებელი ინფორმაციის, ტექნოლოგიის, მარკეტინგული მომსახურების, საწყისი კაპიტალის ნაკლებობა (თუმცა იგივე ითქმის ბიზნესის დაწყების მსურველ მამაკაცებზეც).

როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე კერძო სექტორებში, ქალებს მამაკაცებთან შედარებით მთლიანობაში უკეთაობა ნაკლებად მნიშვნელოვანი პოსტები. ასე, საქართველოში 100 უმსხვილესი საწარმოდან მხოლოდ სამი საწარმოს პირველი მმართველი არის ქალია (მათ შორის, ერთი საბანკო, ერთი სამრეწველო-სავაჭრო და ერთი – სატრანსპორტო დარგში).

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო მონაცემებით, ისეთი სამრეწველო დარგებში, სადაც ქალის როლი გრადიციულად არცთუ ისე მაღალია, ქალები კერძო საწარმოთა მმართველობაში საკმაოდ მოკრძალებული ღონით არიან წარმოდგენილი. კერძოდ, ქიმიურ მრეწველობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე აღირიცხება 267 ქალი, რაც ამავე თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცთა რიცხვს თითქმის 3-ჯერ ჩამორჩება. მათ შორის, სათავე საწარმოს აპარატში მოღვაწეობს 113 ქალი ანუ ანალოგიურ თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცთა რაოდენობაზე 2-ჯერ ნაკლები, საწარმოთა ერთეულებში (საამქრობებში, უბნებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში) – 154 ხელმძღვანელი ქალი (მამაკაცებზე 3,5-ჯერ ნაკლები). ამასთან, მოყვანილი მოსაყვებში, ძირითადად, მოიცავს "საშუალო რგოლს" ხელმძღვანელ ქალებს. რაც შეეხება ქიმიური მრეწველობის სათავე საწარმოთა დირექტორის თანამდებობას, აქ დაკავებულია 28 მამაკაცი და არც ერთი ქალი, დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე – 34 მამაკაცი და 5 (ანუ 7-ჯერ ნაკლები) ქალი. ქიმიური მრეწველობის საწარმოებში ერთადერთი თანამდებობა, სადაც დასაქმებულ მამაკაცთა რიცხვი ქალთა რიცხვს უდრის, არის ბუღალტრის თანამდებობა.

იმის გამო, რომ არსებობს გარკვეული უთანაბრობა ქალთა და მამაკაცთა შორის მაღალი რანგის ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის საკითხში, შესაბამისად, ქიმიურ ინდუსტრიაში მომუშავე ქალთა საშუალო შრომის ანაზღაურებაც აღაშენებლად ჩამორჩება დარგში არსებული შრომის ანაზღაურების საშუალო ღირსს. კერძოდ, თუ ქიმიური მრეწველობის დარგში ყველა კატეგორიის მომუშავე პირთა საშუალო თვიური ხელფასი უდრის 11,5 ლარს, ქალებისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 8,13 ლარს ანუ საშუალო მაჩვენებლის 73,5%-ს შეადგენს.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა პურის ცხობის დარგშიც, აქ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მთლიანობაში დასაქმებულია 353 ქალი, რაც ანალოგიურ თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცთა რიცხვზე 2-ჯერ ნაკლებია. მათ შორის, სათავე საწარმოს ადმინისტრაციითა მუშაობს 314 ქალი (მამაკაცებზე 1,6-ჯერ ნაკლები), საწარმოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ თანამდებობებზე – 39 ქალი (მამაკაცებზე 4,4-ჯერ ნაკლები). ამასთან, ქიმიური მრეწველობისაგან განსხვავებით, პურის

ცხობის დარგში საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე ქალები გარკვეული (თუმცა ერთობ მოკრძალებული) რიცხვით არიან წარმოდგენილი: სათავე საწარმოს 235 დირექტორიდან 201 მამაკაცი და 34 ქალია, ხოლო მთავარი ინჟინრისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე – 75 მამაკაცი და 15 ქალია.

რაც შეეხება პურის ცხობის დარგში შრომის ანაზღაურების საკითხებს, აქ ქალთა საშუალო თვიური ხელფასი, რომელიც 80,8 ლარს უდრის, შედარებით ახლოა დარგში არსებულ საშუალო ხელფასთან (87,9 ლარი) და მის 92%-ს შეადგენს.

მანქანათმშენებლობაში ქალთა რიცხვი ყველა დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე 423-ს შეადგენს, რაც ანალოგიურ თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცთა რიცხვზე 3-ჯერ ნაკლებია. სათავე საწარმოს დირექტორის პოსტზე აღნიშნულ დარგში დასაქმებულია 99 მამაკაცი და მხოლოდ 2 ქალი, ხოლო დირექტორის მოადგილის ან მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე – 138 მამაკაცი და 3 ქალი. ქალთა საშუალო თვიური ხელფასი მანქანათმშენებლობის დარგში შეადგენს 43,7 ლარს ანუ მთლიანად დარგში არსებული საშუალო ხელფასის (55,5 ლარი) 79%-ს.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა მავსა და ფერად მეტალურგიაში, მით უფრო, რომ ეს დარგა გრადიციულად "მამაკაცურ" სფეროს განეკუთვნება. აქ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე ქალთა რიცხვი (2753) დარგში ანალოგიურ თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცთა რაოდენობაზე 3-ჯერ ნაკლებია. ამასთან, არც ერთი ქალი არ არის წარმოდგენილი მეტალურგიულ დარგის საწარმოთა დირექტორის ან დირექტორის მოადგილის პოსტზე. დარგში მომუშავე ქალთა საშუალო ხელფასი – 80,9 ლარი მთლიანად დარგში არსებულ საშუალო მაჩვენებლის 83%-ს შეადგენს.

ელექტროენერგეტიკულ დარგში ქალები მმართველობის სხვადასხვა რგოლში წარმოდგენილი არიან 2174 ადგილით, რაც მამაკაცთა მიხედვით დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელს 2,7-ჯერ ჩამორჩება. აქვე, მსგავსად მეტალურგიული ინდუსტრიისა, არც ერთი ქალი არ არის წარმოდგენილი საწარმოს დირექტორის პოსტზე, ხოლო დირექტორის მოადგილის როლიც მხოლოდ 1 ქალი გვეუქმინება. რაც შეეხება დარგში არსებულ ხელფასებს, ქალთა საშუალო ხელფასი შეადგენს 113,1 ლარს, რაც დარგის საშუალო მაჩვენებლის 82%-ია.

განსხვავებულია სერთა აღნიშნება პოლიგრაფიულ მრეწველობაში, სადაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე ქალთა რაოდენობა 981-ს შეადგენს, რაც აღნიშნულ დარგში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე მამაკაცთა რიცხვს 225-ით ანუ 30%-ით აჭარბებს. მათგან სათავე საწარმოს ადმინისტრაციამ მოღვაწეობს 104 ქალი, რაც დაახლოებით

უკოლდება ამავე რანგში მომუშავე მამაკაცთა რიცხს. ამავე დროს აქვს, მსგავსად სხვა ჩამოთვლილი დარგებისა, ხელმძღვანელ-ქალთა შორის სჭარბობს „მეორე რგოლის“ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე ქალები, ხოლო რაც შეეხება სათავო საწარმოს დირექტორის თანამდებობას, იგი 38 მამაკაცსა და მხოლოდ 6 ქალს უკავია. დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე დაკავებულია 27 მამაკაცი და 6 (ანუ 4,5-ჯერ ნაკლები) ქალი. შესაბამისად, დარგში მომუშავე ქალების საშუალო თვიური ხელფასიც, რომელიც 51,2 ლარს შეადგენს, მთლიანად დარგში არსებული საშუალო მაჩვენებლის 90%-ს უტოლდება.

თუ განვიხილავთ საქართველოში მოქმედ გრადიციულად „ქალურ“ დარგებს და მათში არსებულ ქალთა თანამდებობრივ მდგომარეობას, ამკარა ხდება, რომ მიუხედავად გარკვეული უკეთესობისა, აქვს ხელმძღვანელ-ქალთა უმრავლესობა კონსერვირებულია „მეორე რგოლის“ მმართველობაში, ხოლო ქალი-საწარმოს მენეჯერი ან მისი მოადგილე მაცხვ იმეცია ბოლოა და უფრო არსებული წესიდან განმარტების წარმოადგენს.

ეკრძოდ, მსებუქ მრეწველობაში ყველა ღონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე ქალთა რიცხის 2787-ს შეადგენს, რაც მამაკაცთა თორენობის 2,2-ჯერ აღემატება. ამავე დროს, სათავო საწარმოს დირექტორად მუშაობს 45 მამაკაცი და 6 ქალი, მათ მოადგილეებად - ასევე 45 მამაკაცი და 10 ქალი. მაგრამ უკვე მმართველობის შედარებით დაბალ რგოლში - საწარმოო ერთეულების ხელმძღვანელებად და მათ მოადგილეებად მომუშავე ქალთა რიცხი (10 ქალი) აჭარბებს ამავე თანამდებობებზე დასაქმებულ მამაკაცთა რიცხს (6 მამაკაცი). სხვაობა ქალთა საშუალო ხელფასსა და დარგში არსებულ საშუალო ხელფასს შორის აქაც შემოწვევ: ქალთა საშუალო ხელფასის მაჩვენებელი 47,9 ლარს უდრის, რაც საერთო საშუალო ღონის 90%-ია.

სოციალური სფეროს დარგებში, ეკრძოდ, განათლების სფეროში, ბოლო მონაცემებით ეკრძოდ უმაღლესი სასწავლებლების რექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობს 3 ქალი და 36 მამაკაცი. პრორექტორის თანამდებობაზე - 14 ქალი და 66 მამაკაცი, უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტის დეკანის ან მისი მოადგილის თანამდებობაზე - 58 ქალი და 218 მამაკაცი. პროფესორთა შორის წარმოდგენილია 225 ქალი და 613 (ანუ 2,7-ჯერ მეტი) მამაკაცი. უმაღლესი სასწავლებლებში მომუშავე ქალთა საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს 29,1 ლარს, რაც დარგში არსებული საშუალო ხელფასის 88%-ია.

ანალოგიური მდგომარეობაა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, სადაც დაქსებულების დირექტორის (გამგის) თანამდებობაზე მომუშავე ქალთა რიცხი 11-ს შეადგენს, რაც დირექტორ-მამაკაცთა რიცხზე 5-ჯერ ნაკლებია.

გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა განათლების უფრო დაბალი საფეხურის დაქსებულებებში. ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებში სკოლის დირექტორის თანამდებობაზე დაკავებულია 1320 ქალი, რაც დირექტორ-მამაკაცთა რაოდენობას თითქმის უტოლდება. ხოლო სკოლამდელი აღზრდას დაქსებულებებში, ეკრძოდ, საბავშვო ბაღებში დირექტორის თანამდებობა უკავია 970 ქალს და მხოლოდ 15 მამაკაცს.

და ბოლოს, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საავადმყოფოს, სამშობიარო სახლის მთავარ ექიმებად მუშაობს 110 ქალი და 134 მამაკაცი, განყოფილების, ლაბორატორიების ხელმძღვანელებად - 1505 ქალი და 533 მამაკაცი. ქალთა საშუალო ხელფასი დარგში შეადგენს 21,4 ლარს და თითქმის უტოლდება დარგში არსებულ საშუალო ღონეს (24,4 ლარი).

ეს რაც შეეხება დაქირავებულ მუშაკთა მდგომარეობას. სამწუხაროლ, დემედვ არ არსებობს რაიმე საწარმუნო სტატისტიკური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი ქალი გახდა ეკრძოდ საწარმოს მფლობელა. ამდენად, ქალთა რაოდენობის, როგორც საწარმოს მუშატონის, ანალოგიში საკმაოდ გათულებულია. თუმცა, თუ ირბო მონაცემებსა და ექსპერტულ შეფასებებს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ქალთა რიცხვი ძალზე მცირეა.

ჩვენს მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები, ერთი შეხვდით, მეტყველებს იმაზე, რომ ქალები საკმაოდ აქტიურად არიან ჩაბმულნი ეკრძოდ სექტორის საქმიანობაში და მათ შორის, საკუთარ ბიზნესსაც აწარმოებენ (თუ საკუთარი ბიზნესით დაკავებული ადამიანი აწარმოებს მას იურადიული პირის სტატუსის მიღების გარეშე, იგი თვითდასაქმებულთა ჯგუფს მიეკუთვნება).

მაგრამ საკმარისია ცოტა უფრო დეტალურად განვიხილოთ ეკრძოდ სექტორში დასაქმებულ ქალთა სტატუსსა და როლთან დაკავშირებული მონაცემები, რომ ამკარა ხდება - ქართულ ქალთა შორის ჭეშმარიტ მეწარმეთა (ანუ გადაწყვეტილებების მიმღებთა) რიცხვი კვლავინდებურად ძალზე მცირეა.

ასე, თვითდასაქმებულ ქალთა საერთო რიცხვის მხოლოდ 1,5 % მოღვაწეობს დამქირავეების რიგში, ხოლო 20% - დაქირავებულ პირთა გარეშე ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწვეა. საქართველოს სპეციოკური პირობების გათვალისწინებით ამკარაა, რომ ამ უკანასკნელ კატეგორიის (ანუ ინდივიდუალურ მეწარმე ქალთა ჯგუფს) მიეკუთვნება ძირითადად სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე უფრო შრომატევასა და დაბალეუქტივობას დარგში მოღვაწეობენ. ქალთა დანარჩენი 79 % მიეკუთვნება დაქირავებულ მუშაკთა რიცხს.

ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს მიხედვით ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ თითქმის ყველა დარგში ქალები შედარებით

უკეთესად არიან წარმოდგენილი კერძო და სახელმწიფოებრივი საწარმოებისა თუ ორგანიზაციების მმართველობის უფრო დაბალ რგოლებში (მაგალითად, კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი, განყოფილების უფროსი, ჯგუფის უფროსი და ა.შ.). ასეთი პოსტების მიხედვით, როგორც წესი, ქალები ფლობენ საშუალოდ 8-10 პოზიციას ფირმასა თუ ორგანიზაციაში და ეს რიცხვი დროთა განმავლობაში მატვლობს. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს ეკონომიკაში კერძო სექტორის როლის ამაღლებასთან ერთად გამოჩნდა ბიზნესის მრავალი ახალი სფერო, რომელთა მართვამაც ქალების მონაწილეობა არ არის მკაცრად რეგლამენტირებული და, უპირველეს ყოვლისა, მათ პირად თვისებებსა და მეწარმეობრივ ნიჭებს არის დამოკიდებული. ასეთი დაღვინთა განდევნია შეიმჩნევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პოსტსოციალისტურ სამყაროში და მოგადად მსოფლიოში.

რაც შეეხება ქალთა და მამაკაცთა შორის დაფიქსირებულ სხვაობას ხელფასებში, ეს შედეგია არა ქალთათვის განზრახ დისკრიმინაციულად დაბალი ხელფასის დაწესებისა (რაც აკრძალულია ქვეყნის კანონმდებლობით), არამედ სწორედ თანამდებობრივ დონეებსა და ხელფასის შესაბამის სარგოებს შორის სხვაობით, როდესაც ამა თუ იმ დარგში მომუშავე მამაკაცი დასაქმებულია შედარებით მაღალსა და შესაბამისად მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე, რაც ხელფასის ჯამურ საშუალო მაჩვენებელზეც მოქმედებს.

საქართველოში ეკონომიკური პროცესების მართვაში ქალთა მონაწილეობის გაზარტობა გარდაუვალია თუღად ჩვენი ეკონომიკის აღდგენილი განვითარების თავისუფლებადან გეომდინარე უპირველეს ყოვლისა, ეს არის სწორედ იმ დარგების წინმსწრები გეშით განვითარება, რომლებშიც ქალების როლი გრადიუალად მაღალი იყო, კერძოდ, ვაჭრობის, მომსახურების სფეროს, კაემირგამბულობის, კვების მრეწველობის და მთავრით სხვა დარგისა. ამისთან, თანამედროვე ქალები საკმაოდ აქტიურად თვისებენ გიპიურ “მამაკაცურ” დარგებსაც, როგორცაა ტრანსპორტი, საბანკო საქმე და ა.შ. თუმცა, ამ უკანასკნელ სფეროებში ისინი, როგორც წესი, მეორე პოზიციებს იმკავრებენ (მმართველს მოადგილე ვიცე-პრეზიდენტი) და ფირმის “შიდა” საქმიანობასთან დაკავშირებულ გეირთს საკუთარ თავზე იღებენ.

საინტერესოა, რომ თანამედროვე ქართველი მეწარმე ქალის პორტრეტი აარებს საკუთარ სექციფიკურ ნიშნებს, რომლებიც გარკვეულწლად ეთხზევა მოგადად მსოფლიოში მოღვაწე მეწარმე-ქალთა სტერეოტიპულ პორტრეტს, რამაც, ჩვენი აზრით, მომავალში უხდა გაუიოლოს მას შეეხება რე საბაზრო ურთიერთობისაღმი მისადაგება.

კერძოდ, ცნობილია, რომ ქართველი ქალი მამაკაცთან შედარებით უფრო მეტად ფრთხილობს საკუთარი ბიზნესის დაწყებისას. ყველა ქალს როდი გააჩნია სურვილი არა მხოლოდ მართოს საწარმო, არამედ ერთპიროვნულად ფლობდეს მას (მამაკაცთა შორის ასეთი სურვევა უფრო ძლიერად არის გაბობაგული). ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ქალი მამაკაცთან შედარებით უფრო რეალისტურად აფასებს იმ უღიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც აკისრია საწარმოს მფლობელს შრომითი კოლექტივის წინამე ამასთან, ქალი სულე არ გარებს პასუხისმგებლობას და საკუთარებს შემოსევებში მზადა იგვიროს იგი. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ საქმიანი ქალები საერთოდ გამოირჩევიან მაღალი კეთილსინდისერებითა და პასუხისმგებლობის განვითარებული მეგრებებით, რაც ესოდნ ფასობს ლეჯენდულ პირობებში. მათ ასევე ახასიათებთ საკუთარი პროფესიული ცოდნის მუღმივი სრულიყოფისკენ სწრაფვა, ენაიდან სურთ ყველაფერში თთად გაერკვნენ. მეწარმე ქალებს გააჩნიათ საქმიანი და ცხოვრებისეული ალორ, ადამიანებთან მუშაობის კარგე უნარი და გარკვეული იღბლიანობაც კი.

ასეთი თვისებები უღავილ ხელს უწყობს საქართველოში “ქალური სახის მქონე” ბიზნესის განვითარებას, რადგან ჩვენი ფირმები იძულებულნი არიან შეადწიონ ბაზრის ვიწრო სერგმენტებში, დაამყარონ კარგი ურთიერთობანი უცხოელ ინვესტორებთან და ასეთ პირობებში ფსდაუღებელ მნიშენელობის იძენს მხოლოდ ქალისათვის დაბახასიათებელი განსაკუთრებული კომუნიკაბელურობა, ტაქტი, ინტუიცია, მოგჯერ კი - ემოციურობა, დარწმუნების კარგი უნარი, რომელთა წყალობითაც მას შეუძლია ფირმის საქმიანი პარტნიორობისა თუ კლიენტების ნდობის მოპოვება.

ძალზე მნიშენელოვანია კიდევ ერთი ასეთი გარემოება: როგორც გამოკვლევა ცხადყოფს, თუ ერთმანეთს შეეღებლობის ხარისში ბიზნესმენ მამაკაცთა და ბიზნესმენ ქალთა საქმიანი ეთიკის ნორმებს, აღმოჩნდება, რომ ქალების მიერ წარმოებული ბიზნესის საუფველში ამკარად ლომინირებს მწიფირობის წყეისი. ქალთა სოციალური პასუხისმგებლობის ხარისში ბიზნესში გაცელებით უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა. ამის გამოხატულებაა, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. “პუმპურ” მეწეამენტზე აღებული ორიენტაციია, რამეცაც კარგად ითავისწინებს ადამიანურ ფაქტორს და ხშირად ისწრაფვის ქველმოქმედებითი საქმიანობისკენ. ამის გამო ბიზნესმენ ქალების, როგორც წესი, ახასიათებს მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად პრაგმატული მიღებაა ამა თუ იმ საკითხისაღმი, გულისხმიერება, მაღალი ემოციური ფონი. ამის შედეგად ბიზნესმენ ქალს შეუძლია ცალკეულ შემოსევებში უკანა პლანზე წასწიოს მოცეას მიღების ამოცანა, თუ მას არ მოსწონს კომერციული მიზნის მიღწევის მეთოდი. სხვაპირად რომ ვთქვათ, ქალები თთივანთ მეწარმეობრივ საქმიანობაში მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად

ნურჩელობას იძინენ და არ სურთ ფირმის წინაშე მდგარი მიზნების ნებისმიერ ფასად მიღწევა. ყოველივე ეს კი გარკვეული ზომით ანვიტებს ქალის მიერ წარმართულ ბიზნესს მწეობრივ სახეს. ეს განხლავთ ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი, რადგან სწორედ ასეთი ჰუმანური თვისებების დანერგვა საქართველოს კერძო ბიზნესში შესაძინდა მას უფრო კეთილშობილურ, ცალკეულ ადამიანზე ორიენტირებულ ხასიათს.

მეწარმეობრივ წარმატებას ბიზნესმენი ქალი აღწევს არა მართვის მამაკაცური სტილის გადმოღების გზით, არამედ წმინდა ქალური თვისებების შენარჩუნების ევალობაზე, რაც ახლო წარსულში ე. წ. "პლიერი" ხელმძღვანელის კულტის პირობებში მიუღებელი და წარმოუდგენელიც იყო. ამჟამად, მართვის არაგრადიციული სტილი, შემოქმედებითი მიღგომა, "ჰუმანური" მენეჯმენტი გაიცვალა უფრო შესაბამება ქართული განვითარებადი ბიზნესის თავისებურებებს და ცვალებად ეკონომიკურ გარემოს. ასეთ ვითარებაში, როდესაც ხშირია არაორდინარულ გადაწყვეტილებებთან მიღების აუცილებლობა, სასებით გამართლებული მწეობრივობითი რაციონალიზმის უარყოფა და მოქნილი სტრატეგიის გამოყენება, რაც ქალს თავისი ბუნებით უფრო ეხერხება.

ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ ქართველი საქმიანი ქალი თავის საზღვარგარეთელ კოლეგებზე გაცილებით უკეთესად ახერხებს სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების ურთიერთმეთავსებას (თუმცა ქართველ ქალსაც ამ შრივ ბუერი სირთულეები ექმნება). საქმიანობა ითქვას, რომ ჩვენში მაღალ თანამდებობაზე მოღვაწე ქალთა უდიდესი ნაწილი დღოჯახებულად და მეგნაკლები წარმატებით ართმევს თავს ოჯახურ პრობლემებს. ამ კუთხით დიდ როლს ასრულებს შრომობის, ნათუბების, ახლობლების თანადგობა და პრაქტიკული დახმარება, რაც გრადიციულად დამახასიათებელია ქართული საოჯახო და ნათესაური კავშირებისათვის.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვფარავდით, რომ საქართველოში ქალთა მიერ წამოწყებული და მართული ბიზნესის უწყობიანი აღმოჩინება და ახლო მომავალში სასებით მოსალოდნელია ეროვნულ ეკონომიკაში ქალის როლისა და მნიშვნელობის მკვეთრი ამაღლება.

დასკვნები და რეკომენდაციები

მოთავარი დასკვნები, რომლებსაც გაკეთების საშუალებასაც იძლევა საქართველოს ეკონომიკაში ქალების მდგომარეობის ანალიზი, ასეთია: პირველი – თანამედროვე ეტაპზე ქართველი ქალები აქტიურად გზმეზიან სამეურნეო საქმიანობაში და, თუ შესაძლებლობა მიეცით, მზად არიან

წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი. ამის სტიმულია როგორც ამჟამად არსებული ეკონომიკური სირთულეები, ასევე საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების შეგრძნება და ოჯახზე მრუნების აუცილებლობა.

მეორე – იმის გამო, რომ ოფიციალურ ეკონომიკაში შექმნილია გარკვეული პრობლემები სამუშაო ადგილის პოვნისა ან საკუთარი საქმის დაწყების კუთხით, ქართველ ქალთა დიდი ნაწილი თვითდასაქმებულა ანუ ინდივიდუალურ მრთობით საქმიანობას ეწევა ორდინული პირის სტატუსის მიღების გარეშე. ასევე დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობაში შრომობს.

მესამე – იმის მიზეზით, რომ ქალები საქართველოში დაკავებულნი არიან უპირატესად დაბალანბაურებელ დარგებში შრომით, დასაქმებულ ქალთა საშუალო შემოსავალი ჩამორჩება მომუშავე მამაკაცთა საშუალო შემოსავალს.

მეოთხე – ეკონომიკის კერძო სექტორში და ასევე, ეკონომიკური პოლიტიკის ჩამომყალიბებელ სტრუქტურებში ჯერჯერობით საკმაოდ მცირე ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე ქალთა ოცხვი, რაც მიუღებს მათ შესაძლებლობებს – მიიღონ რეალური მონაწილეობა სამეურნეო პროცესების მართვაში ეროვნული ეკონომიკის როგორც მკერო, ასევე მიკროდონეზე.

ამასთან ერთად, როგორც უკვე ითქვა, ბოლო დროს ამკარად შეინიშნება სიგუაციის გამოსწორებისაკენ მიმართული ტენდენციები და, რაც მოიცავრია, არსებობს ასეთი გაუმჯობესებისათვის საჭირო ნაშნამდებობები: ეროვნული მეურნეობის განვითარების დარგებრივი თავისებურებანი, შესაბამისი სახელმწიფოებრივი პალისშიგა და მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავება და გაგარება, მეწარმე ქალის მმართველობითი სტილის საყვიეკური თვისებანი, საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები, ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და სხვა.

ამჟამად ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივ დონეზე ქალთა მეწარმეობრივი საქმიანობის პირდაპირი მზარდაჭერის ღონისძიებათა გაგარება, როგორც ეს კეთდება მსოფლიოს ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, კერძოდ, საფრანგეთში. ამისათვის კი აუცილებელია ამ კუთხით არსებული მსოფლიო გამოცდილების შესწავლა და ქალთა მეწარმეობრივი საქმიანობის განვითარების საყვიეკის პროექტის შექმნა.

ასეთი სახის პროგრამათა შემუშავებისა და განხორციელების მდიდარი გამოცდილება არსებობს აშშ-ში, სადაც მცირე ბიზნესის საქმეთა დაზინისტრაციის მიერ ხორციელდება მცირე საწარმოთა მფლობელობა ქალების პრობლემატაკისადმი მიძღვნილი საყვიეკური პროგრამა.

საქართველოში ქალთა მეწარმეობრივი საქმიანობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რამდენიმე მძრ-

ქალის სოციალური უფლებები

ითად მიმართულებას. პირველი მათგანი გახლავთ საქართველოში ქალთა დასაქმების, კერძო მეწარმეობაში მათი როლისა და ზოგადად ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის ხარისხიანი შესწავლა. ასეთი სამუშაოები უნდა გარდებოდეს პრობლემატიკის განსამდგომისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიმართულებით. სრულყოფისა და გამდიდრებას მოითხოვს სტატისტიკური და სოციოლოგიური გამოკვლევების შეთხრობა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვეძლება სწორი, რეალისტური ადეკვატური წარმოდგენა აღნიშნული საკითხის თაობაზე.

მეორე აუცილებელი მიმართულება არის, როგორც უკვე ითქვა, მცირე ბიზნესში მონაწილე ქალთა მხარდაჭერა და ასეთი ბიზნესის დაწყებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ასეთი ღონისძიებები აუცილებელია მოითხოვოს სახელმწიფოს მხრიდან საფინანსო მხარდაჭერას – შეღავათიანი დაკრედიტების სისტემის, სხვა სახის შეღავათების დანერგვას.

მესამე მიმართულება არის სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებში ქალთა ეკონომიკურ განათლებისადმი დაკვირვებულ პროგრამათა ჩართვა. აქ იგულისხმება ქალთა მიერ ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლების შესწავლა, ბიზნესის ტექნიკური და მარკეტინგული მხარეების ათვისება, პროფესიული გადამზადების კურსების შექმნა, თეორიული კონსულტაციების გაწევა სამეწარმეო სამართლის ნაწილში, ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობი უსაქართველო ცენტრების ქსელის ჩამოგანშობა, უმუშევარი ქალების სოციალური რეაბილიტაციის ცენტრების ჩამოყალიბება და სხვა მსგავსი ღონისძიებების გატარება. ამ კუთხით დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ არასამთავრობო სტრუქტურებსაც, რომლებიც შეეძლებინათ გაამდიდრებინ ქალთა მეწარმეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის ოფიციალურ პოლიტიკას. შესაბამისმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია იტვირთონ ქალთა შემოქმედებით ინიციატივითა კომერციულ საქმიანობაში დანერგვის ამოცანა, ახალგაზრდა ბიზნესმენების მორალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის განხორციელება, ქალთა პრობლემატიკით დაინტერესებული ქართველი და საზღვარგარეთელი სპონსორების მოზიხვა და ა. შ.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკაში ქალთა როლის გააქტიურება არის არა მხოლოდ მთავრობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზრუნავი, არამედ თვით ქართველ ქალებსაც შესწევთ უნარი მიაღწიონ მეწარმეობრივ ასპარეზზე საკუთარი სრულფასოვნობისა და კონკურენტუნარიანობის აღიარებას. აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის დაკავების წყალობით ქართველი ქალები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას და ახლო მომავალში მოგვევლინებიან ქართული ბიზნესის მაღალეკვლითი და ანტიკონკრეტული ქალის სახით.

ქალის უფლებებისა და ქალთა სოციალური დისკრიმინაციის ცნებები

სამოგადოებაში ქალთა უფლებების გრძობის გამოცენება ყოველთვის დიდ კამბოს იწვევდა, მათ შორის იურისტებშიც. საზოგადოების ერთი ნაწილი ხედავს ამ გრძობაში ქალის უფლებების გამოყოფას ზოგადად ადამიანის უფლებების ცნებიდან, მეორე ნაწილი კი - მამაკაცთა დისკრიმინაციის სამიზრობას. სინამდვილეში ეს ყოველივე განპირობებულია ქალების მიმართ დამორიდებულების თეორიისა და არსებულ პრეჯიციულ შეხედულებათ. ერთი მხრივ, აღიარებული არის ადამიანებს შორის თანასწორობის პრინციპი, მაგრამ მეორე მხრივ, მისი პრაქტიკული გამოცენებისას ქალების უმეტესობა აწყდება ორმაგ სტანდარტს და ხდება დისკრიმინაციის მსხვერპლი.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეუნიღად მიმართა, შეგერდეს დისკრიმინაციის გრძობნაც, დისკრიმინაცია, ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განსხვავებას. საერთაშორისო სამართალში ქალთა დისკრიმინაციის უწოდებენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სქესობრივი ნიშნის მიხედვით უფლებების შემღუფებას ან ჩამორთმევას, კერძოდ: მშობის, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სულიერსა თუ სოციალურ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში. სოციალური დისკრიმინაცია ასევე წარმოადგენს პიროვნებაზე ძალადობის ნაირსახეობას.

სოციალური დისკრიმინაცია უძველესი მოვლენაა. ჯერ კიდევ ათასწლეულის დასაწყისში პოლიტიკოსები და სასულიერო პირები ბჭობდნენ თუმაზე, იყო თუ არა ქალი ადამიანი? საუკუნეების განმავლობაში შეხედულება ქალზე მერყეობდა, ზოგ შემთხვევაში იგი იყო კერპი, ზოგში კი - არასრულყოფილი არსება.

საქართველოში ქალი უპირველესად აღიქმება, როგორც დედა და ოჯახის მომვლელი. ოჯახსა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის მისაღწევად აუცილებელია, გადამინჯოს ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლი და დაიმსხვრეს სტერეოტიპები, რომლებიც ერთი სქესის არასრულფასოვნების, ანდა აღმაკების დედას ეყრდნობა. ძალადობა ქალზე მრავლისმომცველი ცნებაა და რამდენიმე ასპექტს აერთიანებს - ფსიქოლოგიურს, იურიდიულს და სოციალურს.

ოჯახში ძალადობის ფორმებია: ფიზიკური ძალადობა (ცემა), სექსუალური ძალადობა, მუქარა, ემოციური ძალადობა (სისტემატური ყვირილი, გინება), სამოვადლობისაგან იზოლაცია, რაიმე ქმედების მუქარით აკრძალვა, დაშინება და ა.შ.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ქალი, ბავშვი, ინვალიდი, მოხუცი და იშვიათად მამაკაცი. ყველაზე გავრცელებული ფორმა ქმრის ძალადობა ცოლზე და შვილებზე – შეიძლება. პარადოქსია, რომ ქალებზე ძალადობას სწორედ ის მამაკაცები სხადიან, რომლებიც, როგორც წესი, მათი სიყვარულის წყარო და ემოციური და ფინანსური მხარდამჭერი არიან.

ქალების უფლებებზე მდგომარეობა საქართველოში კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოში ქალისა და მამაკაცის უფლებებზე თანასწორობის თემაზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა განვხილოთ ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არსებობს ამ სფეროში და რომლის ძირითადი მიზანია ქალების უფლებების დაცვა სამართლებრივი მეტოდეების მეშვეობით. ეს ბაზა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: საერთაშორისო სამართლებრივი და მიდასახელმწიფოებრივი ნორმებისაგან.

საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები

აღამიანის უფლებების დაცვის და ამ თვალსაზრისით ქალისა და მამაკაცის თანასწორობის თემა უკვე დიდი ხანია ადვოკატებს საერთაშორისო სამოვადლობას. საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის გაერო, ევროპის საბჭო და სხვა ცდილობენ მიმართონ თავისი ძალისხმევა, რათა ამ ორგანიზაციების წევრ-სახელმწიფოებში აღიკვეთოს ქალების დისკრიმინაცია და ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობის სხვა გამოვლინებები.

გაეროს ფარგლებში უდიდესი მუშაობა წარმართა აღამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების მიზნით. აღამიანის ფუნდამენტური უფლებების აღიარებისაკენ მიმართული საქმიანობა თაიდანვე გახდა ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. ჯერ კიდევ გაეროს წესდების პრეამბულაში პირველად გაივლირა აღამი-

ანის უფლებებისა და მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის განმკაცების საკითხი. პირველივე მუხლში, სადც საუბარია ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებზე, ერთ-ერთი მიზანია ყველასათვის აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის წახალისება და განვითარება, გენერულად რასის, სქესის, ენისა და რელიგიისა. ეს მიდგომა უფრო ნათლად გამოიხატა 1948 წლის აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც იწყება სიტყვებით: “ყველა აღამიანი თავისი ღირსებითა და უფლებით თავისუფალი და თანასწორი იბადება”. რა თქმა უნდა “ყველა აღამიანი” თავისთავად იგულისხმება ქალიც, მამაკაციც, ბავშვიც, მოხუციც და ა. შ. მაგრამ მწარე ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, დეკლარაციის მე-2 მუხლი მაქსიმალურად აკონკრეტებს ამ ცნებას “ყოველ აღამიანს უნდა ჰქონდეს ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება რაიმე, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, სარწმუნოების, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის ნიშნის მიხედვით განსხვავების მიუხედავად”.

1966 წელს გადადგმულ იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღამიანის უფლებების დაცვის საქმეში, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ასევე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. ეს იყო მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებთანაც შეერთებასახელმწიფოს აეადღებებოდა, პირინადად შეესრულებინა საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებები. პაქტის მონაწილე ყოველი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას არამარტო პატივი სცეს, არამედ უზრუნველყოს თავისი ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისათვის პაქტით აღიარებული უფლებები რასის, კანის ფერის, სქესის და ა.შ. ან სხვა გარემოებათა მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. თუ ეს უკვე გამოვლინდებოდა არ არის არსებული კანონმდებლობით ან სხვა წესებით, სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს საკანონმდებლო ან სხვა მოქმედი პაქტი გათვალისწინებული უფლებების განსახორციელებლად.

ორივე პაქტში საგანგებოდაა მოხსენიებული სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ მამაკაცებისა და ქალებისათვის თანასწორი უფლება ისარგებლონ ყველა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს, როდესაც დასაშვებია მოგიერთო კატეგორიის უფლების დროებითი შეზღუდვა, დაშვებულია რაიმე მოქმედების გამოყენება, რომელთა და მოქმედება დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე.

ბუნებრივია, ცალკე აღებულ საერთაშორისო დოკუმენტები ვერ და-
ცავენ ადამიანის უფლებებს. მათი დაცვა, პირველ რიგში, ევალება იმ
სახელმწიფოებს, რომლებიც არიან ამ საერთაშორისო დოკუმენტების
მონაწილენი.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ
შინაგარეული ბიძგი მისცა ჩვენს სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა
დაცვის სისტემის ჩამოყალიბებას. ჯერ კიდევ ახალი კონსტიტუციის მიღე-
ბამდე, 1992 წელს, ახალარჩეულმა რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმ-
დებლო ორგანომ – პარლამენტმა, საერთაშორისო სამართლის ძირი-
თად საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს შიდასახელმწიფოებრივი
ნორმების წინაშე უპირატესობა მინიჭა. ბოლო წლების განმავლობაში
საქართველო შეუერთდა მრავალ მნიშვნელოვან დოკუმენტს ადამიანის
უფლებების დარღვი, მათ შორისაა: სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლე-
ბათა საერთაშორისო პაქტი (1994 წ. 25 იანვარი), ეკონომიკურ, სოციალ-
ურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (1994წ. 25 იანვარი),
კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახ-
ებ (1994წ. 22 სექტემბერი), კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში
დისკრიმინაციის შესახებ (1995წ. 4 მაისს), კონვენცია მამაკაცთა და ქალ-
თა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ
(1996 წ. 29 მაისს). ამ და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან მიერთე-
ბით, საქართველომ იკისრა ვალდებულება თავისი შიდა სამართალი საერ-
თაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში მოეყვანა.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონ-
ვენციის მონაწილე სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოც, გმობენ
ქალთა დისკრიმინაციის მისი ყველა ფორმით და ვალდებულებას კისრუ-
ლობენ, შეიგნონ მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინ-
ციპი თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის აქტებში,
თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ, და უზრუნველყონ კანონისა და სხვა
შესატყვისი საშუალებებით ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელე-
ბა. ამისათვის სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ მთელი რიგი
საკანონმდებლო ზომებისა: დააწესონ სანქციები ქალთა დისკრიმინაცი-
ისათვის; უზრუნველყონ სასამართლოებისა და სხვა სახელმწიფო დაწეს-
ებულებების მეშვეობით უზრუნველყონ ქალთა ეფექტური დაცვა დისკრი-
მინაციის ნებისმიერი აქტისაგან; შეცვალონ ან გააუქმონ ის მოქმედი
კანონები, დადგინდებიან, ჩვეულებები ან პრაქტიკა, რომლებიც ქალ-
თა დისკრიმინაციას წარმოადგენს; გააუქმონ თავიანთი სისხლის სა-
მართლის კანონმდებლობის ყველა დებულება, რომელიც ქალთა დის-
კრიმინაციას წარმოადგენს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუქმდეთ იმ ფაქტს, რომ 1999
წლის 26 აპრილს საქართველო გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რე-
გიონალური საერთაშორისო ორგანიზაციის - ევროპის საბჭოს სრულუ-
ფლებიანი წევრი. ხოლო ამავე წლის 15 მაისს შეუერთდა ადამიანის უფლე-
ბათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენციას.

ევროპის საბჭოს წესდების ძირითადი მოთხოვნაა სახელმწიფოების
მიმართ, აღიარონ კანონის უზენაესობის პრინციპი და მათ იურისდიქ-
ციაში მყოფ ყველა პირს შეუქმნან ადამიანის უფლებებითა და თავის უ-
ფლებებით სარგებლობის ყველა პირობა. ევროპის საბჭოს ბევრ დოკუ-
მენტში აღინიშნა, რომ სამოგალობაში ქალისა და მამაკაცის უთანას-
წორობა ხელს უშლის დემოკრატიის დამყარებას. ხაზი გაესვა პოლიტიკურ
და სამოგალობრივ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის არათანაბარი
მონაწილეობის საკითხს, რეგიონალურ დონეზე მათი წარმომადგენლ-
ობის სიმცირეს.

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის უდავო უპირატესო-
ბად ითვლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სსსამართლის არ-
სებობა, რომელიც განლაგებულია ქალაქ სტრასბურგში (საფრანგეთი).
ის ძირითადად განიხილავს ინდივიდუალურ საჩივრებს. ამ კონვენციის
მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს მისი დარ-
ღვეული უფლებების დასაცავად საკუთარი სახელმწიფოს უჩივლოს. რა
თქმა უნდა, უპირველესად, მას ამოწურული უნდა ჰქონდეს ქვეყნის მი-
ენით არსებული დაცვის ყველა საშუალება ანუ მიღებული აქვს ქვეყნის
უმაღლესი სასამართლო ორგანოს გადაწყვეტილება, და ამ ბოლო გადა-
წყვეტილებიდან გასულია არა უმეტეს 6 თვისი. უფლების დარღვევის დამტ-
კიცების შემთხვევაში, სახელმწიფო დაუკისრებს ფინანსური სანქცი-
ები, რომელსაც იგი კომპენსაციის სახით გადაუხდის თავის მოქალაქეს.

შიდასახელმწიფოებრივი ნორმები

შიდასახელმწიფოებრივი ნორმებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია
ქვეყნის ძირითადი კანონი - კონსტიტუცია. საქართველოს ახალი კონ-
სტიტუცია მიღებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს. მისი მეორე თავი მთლი-
ანად მიეძღვნა საქართველოს მოქალაქეობას, ადამიანის ძირითად უფლე-
ბებსა და თავისუფლებებს.

კონსტიტუციის მე-7 მუხლში მითითებულია, რომ "სახელმწიფო ცნობს
და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუ-

ფულეებს, როგორც წარდგა და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო მუშაუდელი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით”.

ამდენად ადამიანის უფლებების სფეროში შიდასახელმწიფოებრივი ნორმები არ შეიძლება, ეწინააღმდეგებოდნენ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს, მეტიც, ასეთი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ნორმებს.

კონსტიტუციაში, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ტექსტებში გატარებულია ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა. მისი მე-14 მუხლი, ამტკიცებს, რომ: “ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.” აქედან გამომდინარე, მასში ჩამოთვლილი უფლებები, ისეთი, როგორცაა სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება; დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოში დარღვეული უფლების აღდგენა; პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩაურევლობა და მრავალი სხვა მიჩნეულია ადამიანის ძირითად უფლებებად, რომლებიც მას მიიძღვება აქვს დაბადებიდანვე.

თუორიანი განასხვავებენ ადამიანის უფლებათა ორ დიდ ჯგუფს. ისეა: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელების თვალსაზრისით, ქალი უფლებრივად გათანაბრებულია მამაკაცთან მოქალაქეობის შემდგენა, შეეცალა თუ შენარჩუნებაში. აღიარებულია, რომ არც უცხოურზე გათხოვება, არც ქორწინების დროს ქმრის მოქალაქეობის შეცვლა არ იწვევს ცოლის მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას, არ აქცევს მას მოქალაქეობის არმქონე პირად და არ შეუძლია, აიძულოს იგი მიიღოს ქმრის მოქალაქეობა. შედეგის მოქალაქეობის განსაზღვრისასაც დედები უფლებრივად გათანაბრებულნი არიან მამებთან.

რაც შეეხება ქალის მიერ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებას, ამ სფეროში მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. ეს შეეხება სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას, აუადმყოფობის, ორსულობისა და მშობიარობის, ინვალიდობის, უმუშევრობის გამო დახმარებების მიღების უფლებას.

საქართველოს კონსტიტუცია არ შეიცავს ზემოაღნიშნული სოციალური უფლებების ჩამონათვალს. სამედიცინო დაზღვევის თაობაზე კონსტიტუციის 37-ე მუხლი ამბობს: “ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმძღვანელში სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება”. ასეთი არაკონკრეტული ფორმულირება ნაკლებად უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის ამ უფლების გამოყენების საშუალებას.

საერთაშორისო დოკუმენტებისაგან განსხვავებით, ჩვენი კონსტიტუცია არ ითვალისწინებს დასვენების უფლებასა და სათანადო ცხოვრების განსაზღვრული დონის უფლებას. ეს ბუნებრივია. საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, თავისი ძირითადი კანონის მიღებისას, იძულებული იყო, გაეთვალისწინებინა არსებული ეკონომიკური და სხვა რესურსები და არ აეღო თავის თავეთ იმაზე მეტი ვალდებულება, რომლის შესრულების საშუალება ჰქონდა. ასეთი მიდგომა ვერდნობა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლს, სადაც ნათქვამია: “ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს თავისი დირსების შენარჩუნებისა და თავისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი უფლებები ... ეროვნულ ძალისხმევითა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად”. ამავდროულად, კონსტიტუციის მე-7 მუხლის მიხედვით “სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს”. კონსტიტუციით სახელმწიფო ანიჭებს მათ პირდაპირი, უშუალო მოქმედების ძალას. ამრიგად, სახელმწიფო ცნობს და იცავს იმ უფლებებსა და თავისუფლებებსაც, რომლის თაობაზეც კონსტიტუცია თითქმის არაფერს ამბობს. კონსტიტუციაში განმტკიცებული უფლებებისა და სხვა უფლებების დაკონკრეტება და განვითარება ხდება კონსტიტუციონიდან გამომდინარე სხვა ნორმატიულ აქტებში.

სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს საქორწინო, სამემკვიდრეო, საბინაო და სხვა უფლებებს

1997 წლის 25 ნოემბრიდან საქართველოში ძალაში შევიდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელშიც კიდევ ერთხელ განაბტყიცა ქალის უფლებრივი თანასწორობა ამ საკითხებში.

1106-ე მუხლის მიხედვით: "ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში". დაქორწინებისათვის აუცილებელია ორი ძირითადი პირობა: ა) საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი. გამონაკლის შემთხვევებში ქორწინება დაიშლება 16 წლის ასაკშიც, შრომულებისა და სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. თუ შრომულება და კანონიერი წარმომადგენლები უარს იცხვიან, პატივსაცემი მიმღებების არსებობისას (მაგალითად: თუ ქალი ორსულადაა), დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე ქორწინების ნებაართვა შეიძლება გასცეს სასამართლომ.

იმ პირობით ქორწინება, რომელსაც საქორწინო ასაკისათვის არ მიუღწევია, შეიძლება ცნობად იქნას ბათილად, თუ ამას მოითხოვს ამ უკანასკნელის ინტერესები.

ქორწინება არ შეიძლება მოხდეს იძულებით ან მუქარით. ის შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობით. იძულების შედეგად მომხდარ ქორწინებას სასამართლო ბათილად ცნობს ერთ-ერთი (ან ორივე) მეუღლის სარჩელის საფუძველზე, თუ დადასტურდა იძულების ფაქტი. ქორწინების ბათილად ცნობა არ ხელყოფს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლის თანახმად: "დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშლება უფლებათა პირდაპირი და არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მიხედვით წარმომობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განაილების, ენის, რელიგიისა და მამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით".

დაქორწინების დროს მეუღლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ, აარიონ ერთ-ერთი მეუღლის გვარი თავიანთ საერთო გვარად, ან თითოეულმა დაიკოვოს თავისი ქორწინებამდელი გვარი, ან თავისი გვარი შეუერთოს მეუღლის გვარს. გვარების შეერთება არ შეიძლება, თუ ერთ-ერთ მათგანს ან ორივეს ორმაგი გვარი აქვს. შეილებს აღმრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს კოდექსის მიხედვით მეუღლეებმა ერთად წყვეტენ. შეუძლებელია მთელი ქორწინების განმავლობაში შემქნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლე-

თა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უელიდა შეილებს ან სხვა საპატიო მიზეზების გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსში, კერძოდ, საოჯახო სამართლის ნაწილში, შევიდა მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულებით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების დარეგულირებას. თუმცა ამგვარი ხელშეკრულების დადება არ წარმოადგენს სავალდებულო აქტს. იგი შეიძლება გაფორმდეს ნებაყოფლობით, მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით საფუძველზე. ამასთან, ხელშეკრულების დადება დროში შემზღვეული არ არის. ის შეიძლება დადოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული ხელშეკრულება ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან. ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდოს მხოლოდ მეუღლეთა ერთიერთშეთანხმებით. განქორწინებისას იგი ავტომატურად წყდება. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობა ერთ-ერთ მეუღლეს უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს, მაშინ მისი ცალმხრივი განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ეს პირობა.

შრომის კანონთა კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა შრომას

შრომის კანონთა კოდექსის თავე XII მთლიანად მიეძღვნა ქალის შრომას. მასში რეგლამენტირებულია სამუშაოები, სადაც ქალის შრომის გამოყენება აკრძალულია. ასეთია, კერძოდ მძიმე სამუშაოები, მიწისქვეშა, მანქანარობებიანი სამუშაოები. აკრძალულია ქალების მიერ ისეთი სიმძიმის გადატანა ან გადაადგილება, რომლებიც აღემატება მათთვის დადგენილ მღვრულ ნორმებს. მძიმე და შრომის მანქანარობებიანი სამუშაოთა სივს, აგრეთვე ქალების მიერ სიმძიმეთა გადატანისა და გადაადგილების მღვრული ნორმები მტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ჩვენი კანონმდებლობით დაუშვებელია ქალის შრომის გამოყენება ღამის სამუშაოებზე, სახალხო მუშაოების იმ დარგების გარდა, სადაც ეს გამოწვეულია განსაკუთრებული აუცილებლობით და ნებადართულია როგორც დროებითი ღონისძიება.

დაუშვებელია ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, დასვენების დღეებში ორსული ქალების და იმ ქალების შრომის გამოყენება, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, დაუშვებელია აგრეთვე მათი გაგზავნა მივლინებაში. ქალები, რომლებსაც ჰყავთ სამიდან თორმეტი წლის ასაკამდე (სხვაილი ბავშვები - თექვსმეტი წლის ასაკამდე) ბავშვები, არ შეიძლება ჩაბმულ იქნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოებში ან გაიგზავნონ მივლინებაში მათი თანხმობის გარეშე.

განსაკუთრებულ ყურადღებას შრომის კოდექსი აქცევს ორსული ქალების უფლებებს. ორსულ ქალებს სამუდამოდ დასვენების შესაბამისად, მუშაობის დროს გამოუმუშავებისა და მიომასხურების ნორმები ან ისინი წინანდელი საშუალო ხელფასის მენარჩუნებით გადააკავთ სხვა უფრო მსუბუქ სამუშაოზე, რომელიც გამორიცხავს არახელსაყრელი საწარმოო ფაქტორების შემოქმედებას. ამ საკითხის გადაწყვეტამდე იგი უნდა განთავისუფლდეს სამუშაოდან და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯზე შეენარჩუნდეს ამის შედეგად გაყვნილი ყველა სამუშაო დღის საშუალო ხელფასი.

წლინახევრის ასაკამდე ბავშვიანი ქალები იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აღრინდელი სამუშაოს შესრულება, წინანდელი საშუალო ხელფასის მენარჩუნებით გადააკავთ სხვა სამუშაოზე, ვიდრე ბავშვის წლინახევრის ასაკი შეუსრულდება.

ქალების ორსულობისა და შობიარობის გამო ეძლევათ შევსება მშობიარობამდე 70 კალენდარული დღის ხანგრძლივობით და შობიარობის შემდეგ 56 (გართულებული მშობიარობის შემთხვევაში - 70) კალენდარული დღის ხანგრძლივობით. ასეთი შევსება გამოიანგარიშება შევსებულად და ქალს მიეცემა მთლიანად, მშობიარობამდე ფაქტობრივად გამოყენებული დღეების რაოდენობის მიუხედავად. ქალს, სურვილისამებრ, მიეცემა ნაწილობრივ ანაზღაურებული შევსება ბავშვის მოვლის გამო, სანამ ბავშვი წლინახევრისა გახდება. ამ ხნის განმავლობაში ქალს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით ეძლევა დახმარება.

განცხადების თანახმად, ქალს ეძლევა დამატებითი უხელფასო შევსება ბავშვის მოსაყვლად, ვიდრე ის მიადგენს სამი წლის ასაკს და შევსების განმავლობაში ენახება სამუშაო ადგილი.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 164 მუხლის შესაბამისად, აკრძალულია სამუშაოზე მიღებისას ქალებისათვის უარის თქმა და მათთვის ხელფასის შემცირება ორსულობის ან სამ წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის მოცივით, ხოლო მარტოხელა დედებისათვის - თოხმეტი წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის გამო. აღნიშნული კატეგორიის ქალებისათვის სამუშაოდ მიღებამდე უარის თქმისას აღმინისტრაცია ვალდებულია წერი-

ლობით ფორმით აცნობოს მათ უარის მიმცემები. სამუშაოზე მიღების უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. დაუშვებელია აგრეთვე მათი დათხოვნა აღმინისტრაციის ინიციატივით, გარდა საწარმოს სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი სახელმწიფო ჩამოყალიბების პროცესშია და მისი სამართლებრივი ბაზა ჯერ კიდევ სრულყოფილებიდან შორს არის, აღმნიშნის უფლებების დაცვის, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის განმტკიცების თვალსაზრისით უდიდეს მნიშვნელობას იძენს მესამე სექტორის და, კერძოდ, ქალთა ორგანიზაციების როლი.

ქალთა ორგანიზაციების აქტიურობაზე დამოკიდებული ამ საკითხების დარეგულირება ჩვენს სახელმწიფოში. მიმანწინოდ მიმანია გამოიყოს საქმიანობის ორი მიმართულება: დოკუმენტური და პრაქტიკული.

დოკუმენტური მიმართულება გულისხმობს აქტიური მონაწილეობის მიღებას ქვეყნის შიგნით ქალის უფლებების დაცვის სამართლებრივი დოკუმენტების შედგენაში. იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების შედგენის ეტაპზე მათი შესწავლა და ქალის უფლებების დაცვის თვალსაზრისით კორექტირება და ქალებისათვის მტკიცებული პრობლემების საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე ლობირება, ჩვენს ქვეყანაში დაქარაღება ჯემშირტივად დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

პრაქტიკული მიმართულება კი გულისხმობს ქალითა ორგანიზაციების ძალისხმევით გავრცელებას ქალების შირიდან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მათი უფლებების რეალური განხორციელების საქმეში. კერძოდ, მათი საარჩევნო, შრომის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში.

რეკომენდაციები

სახელმწიფოს წინაშე პირველ რიგში უნდა დადგეს შემდეგი სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტის საკითხები:

1. მარტოხელა დედებისათვის გაუქმებული სოციალური შედავითების აღდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში გატარებულია სოციალური სახელმწიფოს აღმშენებლობის იდეა, რეალური სოციალური სახელმწიფოს შექმნაზე ჯერ კიდევ ნაადრევია საუბარი. მარ-

გობელა დედებისათვის სოციალური შეღავათების დაწესებაც, თუ იმავე მიმართული თანხებით განხორციელდა, ვერ ჩაითვლება სამოგალოების ამ წევრებზე ჰემიზარიტ მრუნვალ.

საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლში ნათქვამია: "ყოველ ადამიანს, როგორც სამოგალოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს თავისი ღირსების შენარჩუნებისა და თავისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი უფლებები ... ეროვნული ძალისხმევითა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად". ამრიგად, სოციალური უფლებების განხორციელება მართალია უშუალოდ დამოკიდებულია სახელმწიფოს რესურსებზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს რესურსები საკმარისი არ არის, ადამიანის უფლებათა სოციალური უფლებების დაცემა უნდა ჩაერთოს საერთაშორისო სამოგალოება.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია სახელმწიფოს მულამ ჰქონდეს საერთაშორისო კუმანიტარული დახმარების იმედი. აქ არ არის ამაზე საუბარი. საერთაშორისო სამოგალოების დახმარება უნდა ატარებდეს გეჩიკურ და მამნობრივ ხასიათს, მიმართული უნდა იყოს კონკრეტული ჯგუფის, მაგალითად, მარგობელა დედებისათვის გარკვეული პროექტების სტიმულირებისაკენ. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მცირე და საშუალო ბიზნესში დაკავებული მარგობელა დედებისათვის გრძელვადიანი მცირეპროცენტაიანი კრედიტების გაცემის პროგრამა. ასეთი პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც მცირე და საშუალო ბიზნის განვითარებას საქართველოში, ასევე გაუწევდა დიდ ფინანსურ და სოციალურ დახმარებას ქალების ამ ფუნს.

2. ძალადობა ოჯახში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ოჯახში ძალადობა ცალკე დანაშაულად არ არის გამოყოფილი. ის დანაშაულის საერთო კატეგორიაშია განხილული. სამწუხაროდ, ამ პრობლემის მიმჭვლავ არ გამოირიცხავს მის არსებობას ქართულ ოჯახებში. ხშირ შემთხვევაში კი ქალზე ძალადობა სრულიად ბუნებრივ ოჯახურ მოვლედ მიიჩნევა.

ძალადობა - ეს არის არამარტო ფიზიკური ძალმომრეობა, არამედ პიროვნების შეურაცხყოფა და მისი აბუჯად ატლება. ოჯახში ძალადობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ იგი არ სცილდება ოჯახის ფარგლებს. სამართალდამცავი ორგანოებისათვის ასეთი ძალადობის მხოლოდ 10%-ია ცნობილი. სწორად ნათესავეები მალავენ ძალადობის ფაქტებს, რაც მოძალადეს ახალ და დანაშაულისკენ უბიძგებს.

აღნიშნული პრობლემის სპეციფიკიანი გამოვლინარტ, მისი გადაწყვეტაც განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. სამართალი ამ თვალსაზრისით

ჩამორტება რეალობას და სადღესოდ ვერ სთავაზობს სამოგალოებას ამ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურ საშუალებებს.

აუცილებლად მიგვახსნია, რომ ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში ოჯახში ძალადობა განსაკუთრებულად განიხილებოღეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იგი იქვს საჯარო ბრალდების საგნად ანუ საქმის აღძვრის ინიციატორი უნდა იყოს არამარტო ძალადობის მსხვერპლი ქალი, რომელიც ხშირ შემთხვევაში დანაშაულის მხრიდან უდიდესი ფაქტიოციური შევლეს ქვემ იმყოფება, არამედ სამართალდამცავი ორგანოებიც, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ უფლება საკუთარი ინიციატაციით აღძვრან სისხლის სამართლის საქმე ოჯახში ძალადობის ფაქტის გამო.

3. პატიმარი ქალების პრობლემა

მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი ქალების საკითხი არ არის პირდაპირ დაკავშირებული ქალის სოციალური უფლებების განხორციელებასთან, მიზანშეუწონილად მიგვაჩნია, ჩვენმა სამოგალოებამ განსაკუთრებული ყურადღებით მოეყრის მას.

მოქმედი კანონმდებლობით, პატიმარი ქალებისათვის არსებობს შრომაგასწორების კოლონიის ორი სახე, საერთო და მკაცრი. მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ქალები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ხელდებაან. კერძოდ, თუ სასამართლომ ისინი განსაკუთრებით სამომ რევიდესტებად სცნო ამ სახელი მიუსაჯა განსაკუთრებით სამომ დანაშაულისათვის. მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ატრეტე ხელმობინენ ის ქალებიც, რომელთაც სიკვდილი დანაშაულისათვის ან შეწყალებით შეუცვლიათ. ბოლო პერიოდში, სიკვდილის დასჯის გაუქმების შედეგად, ამ მიზეზმა დაკარგა თავისი აქტუალობა.

მაგრამ პატიმარ ქალთა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი ორი რეჟიმისა, ფაქტობრივ მოქმედებს მხოლოდ ერთი და ყველა პატიმარი ქალი სახელს იხდის ერთი რეჟიმის კოლონიაში, რაც სრულიად მიუღებელია.

მოქმედი მდგომარეობა ეწინააღმდეგება, როგორც მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც დანაშაულთა კლასიფიკაციას ახდენს მათი საზოგადოებრივი სამომშროების ხარისხის მიხედვით, ასევე მოვალდად პენიტენციური დაწესებულებების არსს, რაც დაფიქსირებულია საერთაშორისო დოკუმენტებში. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი აღიარებს, რომ პენიტენციური სისტემაში პატიმართათვის გათვალისწინებული რეჟიმის არსებითი მიზანი არის მათი გამოსწორება და ახლებური სოციალური აღზრდა. შესაბამისად, რაც უფრო მაღელ მოხდება ამ საკითხების ხელისუფლების წინაშე წამოწევა, მათ უფრო მაღელ მოხდება არსებული რეალობის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანა.

როზა ქუხალაშვილი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ქალთა საბჭოს თავმჯდომარე

ქალთა როლისა და აქტიურობის ამაღლების ამოცანები

“თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უფასო და თუ დაბლად არიან, ხალხის ცხოვრებაც ილაბება და ეს უკვე აღაყენებს უნდა იყოს...”

აკაკი

ქალთა როლი საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა სფეროში ისტორიულად ყოველთვის საკმაოდ მაღალი და მნიშვნელოვანი იყო, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად აღიარებდნენ ამ მნიშვნელობას ოფიციალური იდეოლოგიის მატარებელი სტრუქტურები.

ამასთან, მხოლოდ რეალური დემოკრატიისა და სამართლებრივი გარემოს პირობებში ხდება შესაძლებელი ქალების მიერ არა უბრალოდ დემოკრატიული, არამედ ჰუმანიტარული თანასწორუფლებიანობის მოპოვება და ის, თუ რამდენად ახლოა თითოეული კონკრეტული სახელმწიფო დემოკრატიული, სამოქალაქო პრინციპებზე აგებული სისტემის ჩამოყალიბებისთანავე, განსაზღვრავს აღნიშნულ ქვეყანაში ქალების რეალურ მდგომარეობას. ეს ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს.

გოგალიკალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების შექმნას ახლით მთელ რიგ ქვეყნებში მოჰყვა არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები, არამედ დიწყო მოსახლეობისათვის ყველაზე მტკივნეული პროცესი – ღირებულებათა დიდი გადაფასების პროცესი. საქართველო ამჟამად გადის გარდამავალ პერიოდს გოგალიკალიზმიდან დემოკრატიული სტრუქტურებისაკენ. საბაზრო ეკონომიკის განვითარებას თან სდევს გრადიული საზოგადოების ჩვეულებრივი სტრუქტურის შეცვლა და ისეთი ელემენტების შემოტანა, რომლებიც ინდივიდუალურებას საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი.

საქართველოში მძაფრი ეკონომიკური კრიზისის, შინა ომებისა და მრავალი სხვა მიზეზის გამო კატასტროფულად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი (შედეგად გაჩნდა მანქანაზე ბავშვებისა და მათხოვრების ძალზე დიდი რაოდენობა).

არანაზღვრად გამწვავდა სოციალური პრობლემები. შექმნილ ვითარებაში მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა დატოვა ქვეყანა და საცხოვრებლად, თუ სამუშაოდ სხვა ქვეყნებს მიაშურა. იმის გამო, რომ მიგრანტთა შორის მამაკაცები უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ (დაახლოებით 60-65 %-ს), ქვეყანაში დარჩენილი მოსახლეობისა და შრომითი რესურსების საერთო რაოდენობაში ძალზე ამაღლდა ქალების ხვედრითი წილი.

ამრიგად, ქალი, რომელმაც ერთდროულად უნდა იკვიროთ დედისა და საზოგადოებრივი მუშაკის როლი, დიდი და გაუმართლებელი დატვირთვის გამო უნებლიეთ ორივე სფეროში (დემოგრაფია, ეკონომიკა) აღმოჩნდა დრმა კრიზისულ მდგომარეობაში, რომელიც დღემდე გრძელდება.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გრანსფორმაციის პროცესში განვითარებულმა მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელმაც საქართველოში განვითარება ჰპოვა შეიარაღებული კონფლიქტების სახით, უპირველესი ზეგავლენა იქონია სწორედ ქალთა კონტინენტზე. ქალები პირველი აღმოჩნდნენ სექსუალური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია რიცხვში. ყოველივე ამან ქვეყანაში დასაბამი მისცა ისეთ როლურ პროცესს, როგორცაა მიგრაცია კონფლიქტის ზონებიდან (დევნილია 155 264 ქალი). ამას შემდგომში დაემატა მიგრაციული პროცესები საქართველოს სხვა გერიტორიებიდან, რაც განპირობებულია მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით. ამ პროცესებს თან სდევს მთელ რიგ ქალაქებში მოსახლეობის სიჭარბე, რაც კიდევ უფრო ართულებს ამ ქალაქების სოციალურ მდგომარეობას. მაგალითის საღარიბე, სექსუალური შეურაცხყოფები, დანაშაულებები, სნეულებანი. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ფსიქოლოგიურად ქალები უფრო მომზადებულნი აღმოჩნდნენ მწვავე კრიზისის გადასატანად, რაც გამოიხატა მათი მშადაყოფითი გადაარჩინონ შეიძლება, ოჯახი.

ქალთა დიდი ნაწილი დასაქმდა არარეგისტრირებულ ბიზნესში (ცხოება, მოსამსახურედ დადგომა, ძიძობა, ვაჭრობა, მიგრაცია სამუშაოს საძებნელად).

სამუშაოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქალი ძალზე ხშირად გვევლინება ოჯახის ერთადერთ მარჩენსლად. ქალის ასეთი მდგომარეობა ცვლის მის ცხოვრებისეულ წესს და ხელს უშლის მის პიროვნულ განვითარებას. იგი ნაკლებად ფიქრობს მისი ინტერესების ზოგად გადაწყვეტაზე, ან ამ ინტერესების ლობიარების პროცესზე. რის შედეგადაც საბოლოო ჯამში საზოგადოება კარგავს მოსახლეობის დიდ ნაწილს, რომლის ინტერესები შესაბამისად არ აისახება ახალ ინსტიტუტებში. ამავე დროს იკარგება კარგად განსწავლული კადრები, პროფესიონალები.

გემოთ მოყვანილი პრობლემები დამახასიათებელია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ პოსტკომუნისტური სივრცის უმეტესი ქვეყნებისათვის, რომლებიც განვითარების იმავე ეტაპზე იმყოფებიან.

თავის გადარჩენის მიზნით მოსახლეობის მხრივით ამ ქვეყნებში, საექსპერტო შეფასებით, ნახევარი მილიონი შეადგინა. მიგრანტთა შორის დაახლოებით მესამედი ქალებია, რომლებიც სრულიად გაუთვითცნობიერებელი არიან თავიანთ უფლებებსა და იმ ქვეყნის კანონმდებლობაში, სადაც ისინი მიღნ, რის შედეგადაც ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევას, ღის კრიმინალიცა.

ვინაიდან ქალთა მიგრაციის შეზღუდვა შეუძლებელია, საჭიროდ მიგვაჩნია ქალების, ქალიშვილებისა და შობარდების სამართლებრივი გაუთვითცნობიერება. სათანადო ინფორმაციების მიწოდება მათი უფლებების და იმ სიტუაციის შესახებ, რომელშიც ისინი ზღვებიან უცხოეთში სხვადასხვა ფორმის მემუიებით სამუშაოდ გამგზავრებისას (ძალადობა, ექსპლუატაცია, სექს-ბიზნესი).

არსებობს ინფორმაცია მსგავს ფაქტებზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან წასული ქალების მიმართ (განსაკუთრებით რუსეთიდან და უკრაინიდან), რომლის საფუძველზე მსოფლიო ქსელმა გადარჩენისათვის და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგამ მოაპმზადა სპეციალური ვიდეოფილმი და მოხსენება "ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ქალთა სექს-ვაჭრობის გამოამკარავეუ". აღნიშნული ვიდეო-ფილმი წარმოდგენილია სემინარის მონაწილეთათვის გასაცნობად. შემდგომში საჭირო იქნება მისი გაყნობა ქალთა ფართო ფენებისათვის და სათანადო სამთავრობო სტრუქტურებისათვის, რათა მაქსიმალურად გამოითვისოს საქართველოს მოქალაქეების ჩავარდნა მსგავს სიტუაციებში.

ამასთან საყურადღებოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ძალიან ხრზად აწყვლება საზოგადოების გენდერული პრობლემების განხილვისას. ღღეს არსებული სახელმწიფო სტატისტიკა არ ასახავს საზოგადოების მდგომარეობის ასექტებს გენდერულ კრილიში. ასეთი მონაცემები აუცილებელია არა მარტო პეკინის კონფერენციის დეკლარაციისა და მოქმედების პლატფორმის სახელმწიფო დონეზე გასაკონტროლებლად, არამედ ქალთა პრობლემებზე მუშაობის პროცესში, როგორც ხელისუფლების ორგანოების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

ბოლო წლებში ქალთა აქტიუობა განსაკუთრებით გამოიკვეთა როგორც პოლიტიკაში, ასევე საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სფეროში. მინდა შევჩერდე არასამთავრობო სექტორზე.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს ქალთა საბჭოსა და მისი რეგიონალური ორგანიზაციების მრავალმხრივი საქმიანობა დაწყებული ქალთა უფლებების დაცვით, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური და სხვა პრობლემებით, რომლებიც ასე მრავალადა ჩვენს სრველი ასევე ყურადსაღებია იმ ქალთა ორგანიზაციების საქმიანობა, როგორცაა "ქალები დემოკრატიისათვის", "ქალთა საერთაშორისო ცენტრი განათლება და ინფორმაცია", "ქალთა საერთაშორისო კვლევის ცენტრი", რომელთა ძალისხმევით არაერთი საინტერესო წიგნი და ბროშურა გამოიცა ქალთა პრობლემებზე.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქალთა უფლებების შემსწავლელი ჯგუფის მიერ 1998 წელს გამოშვებული ბროშურები: "ქალთა უფლებები", I და II ნაწილი და აღმანახი №7 "ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალი", რომელშიც წარმოდგენილია მასალები ადამიანის უფლებების მხოლოდ ერთი ასექტის - ქალის უფლებების თაობაზე. აღნიშნული ლიტერატურა საჭიროა არა მხოლოდ მათთვის, ვინც დაინტერესებულია გენდერული საკითხებით, ადამიანის უფლებათა, სამართლისა და კერძოდ ქალის უფლებების პრობლემებთან, არამედ საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში, სადაც არ არსებობს ინფორმაცია ქალის უფლებების შესახებ, რაც განაპირობებს ქალის შემგუებლობას ყოველგვარი ღის კრიმინაციის მიმართ.

მოგვიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია წარმატებით ართმევს თავის სხვადასხვა პრობლემურ საკითხს: სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის, ეკოლოგიის, განათლებისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროებში. არასამთავრობო ორგანიზაციებში აბსოლუტური უმრავლესობა ღიდერებისა ქალებია. ამასთან ერთად, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგენლობა ძალზე მზღუდულია. ქალები შეადგენენ პარლამენტის წევრთა მხოლოდ 6 %-ს, აღმასრულებელ ხელისუფლებაში კი მათი რიგები კიდევ უფრო ცოკაა.

საქართველოში არასამთავრობო სექტორი საქმოდ აქტიურია, მხოლოდ ქალთა პრობლემებზე მუშაობს დაახლოებით 50-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია, სადაც საქმოდ მდლალკეადიფიციერებული ქალებია დასაქმებული. არასამთავრობო სექტორის დამსახურებად უნდა ჩაითვლოს: საგამომცემლო საქმიანობა, საგანმანათლებლო ქსელის გაფართოება, გრუნინგები, ქუჩის ბავშვების საკითხების აქტივიზირება, ქალთა განვითარების სტრატეგიული გეგმა და სამთავრობო კომისიის შექმნა, ხელისუფლების კონტროლის მექანიზმების გაჩენა, დასაქმების პრობლემების გადაწყვეტებაში აქტიური მონაწილეობა, კონფლიქტის მშვიდობიანი



მოწესრიგების იდეის დამკვიდრების პროპაგანდა, მოქალაქეთა სოციალური უფლებების დაცვა, ორსულ, მეძებურ ქალთა და პენსიონერ ქალთა დაცვა.

სამოგალოებში ქალთა აქტივობის ზრდას ხელს უწყობს არასამთავრობო ქალთა ორგანიზაციების კონტაქტები მმართველობის ორგანოებთან. შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკურ ქალთა ორგანიზაციებს შეეძლება დამყარებული აქვთ უმაღლეს სახელისუფლო ორგანოებთან საქმიანი კონტაქტები, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ცალკეული პრობლემების გადაწყვეტას. იმავეს ვერ ვიტყვით საქალაქო და რაიონულ ქალთა ორგანიზაციებზე, ალბათ მეტი აქტიურობა მართლაც ორგანიზაციითაა ლიდერებს ადგილობრივ მართვის ორგანოებთან, გახსკეროებული საკრებულოებთან, სადაც მთელი რიგი საკითხების ლობირება შეიძლება.

საქართველოში, როგორც აღინიშნა, ქალთა აქტივობის ზრდას ხელს უწყობს არასამთავრობო სექტორის განვითარება, რამაც საგრძნობია საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება. გახსკეროებული ყურადღება ეთმობა ქალთა პრობლემატიკას, ეწყობა სემინარები, ტრენინგები, სტაჟირება, ერთობლივი კონფერენციები.

გასული წლის მარტის თვეში 16 არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი ქალები (აჭარიდან, თელავიდან, ჭიათურიდან, გორიდან და თბილისიდან) ამერიკის შეერთებულ შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობაში მიიწვიეს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მმართველობის განვითარების ერთგვან პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. სტაჟირების პროგრამის მიზანი გახლდათ პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში ქალთა როლის გაზრდა და მათი მონაწილეობის გააქტიურება.

სტაჟირების პროცესში მოეწყო ტრენინგები არასამთავრობო ორგანიზაციების ჯუნდის შექმნის, სამოგალოებრივი მარკეტინგისა და ინტერნეტის შესახებ.

მსგავსი სტაჟირება სისტემატურად ეწყობა მცირე ბიზნესის განვითარების საკითხებზე, სადაც ქალები მრავლად არიან წარმოდგენილი. 1998 წელს (29 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე) გახანძრულმა ჩატარდა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღო სამი ქვეყნის – სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ასეთი მასშტაბით საქართველოში პირველად შეიკრიბნენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები. კონფერენცია მოაწყო შეერთებული შტატების განათლების განვითარების აკადემიამ და საერთაშორისო განვითარების სააგენტომ.

შეხვედრის მიზანი იყო ქალთა პრობლემების განმარტება და მათი გადაჭრის საერთო გზების ძიება, დიალოგი, რომელიც დაიწყო მემობლი სახელმწიფოების ქალთა შორის და მომავალში გაგრძელდება, რადგან არც ქალების საერთო პრობლემები კავკასიის რეგიონისათვის, რომლებიც ერთობლივი ძალებით შესაძლებელია ადვილად მოგვარდეს. გარკვეულწილად პრობლემები კიდევაც შეგნან ერთმანეთს, სახელდობრ, სამივე სახელმწიფოში ქალთა თითქმის თანაბარი რაოდენობა მონაწილეობს ქვეყნის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში (შეადარე ქალთა საკანონმდებლო ორგანოში ქალები მხოლოდ 5-6%-ს შეადგენენ).

მა მდგომარეობაა სხვა ქვეყნების პარლამენტში ამ მხრივ? დღეს პარლამენტში ქალებს რაოდენობის რეკორდი შეუღდეს ეკუთვნის. ეს სამი ქალის, გურნალისგის, ეკონომისტისა და მწერლის დამსახურებაა, რომლებმაც 1993-94 წლების მამთარში საპარლამენტო არჩევნების წინ მუქარიში მიმართეს რესკადეს და გაბოიასადეს, რომ თუ არსებული პარტიები მეტ ყურადღებას არ დაუთმობენ ქალთა პრობლემებს, ისინი საკუთარ პარტიას შექმნიან. ამგვარ პროტესტს შედეგად ის მოჰყვა, რომ რესკადეში ქალთა არასამთავრობო წარმომადგენლობა წინასაარჩევნო კამპანიის წამყვანი თემი გახდა. ამგვარად თანასწორუფლებიანობის ილი ტრადიციების ქვეყანაში ქალებმა გადაჭრით გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ პოლიტიკურ პირამიდაში შეად იარუსები კვლავაც მამაკაცებს ეკავით. აღმოჩნდნენ რა კანდიდატთა ასპროცენტინი ქალური სის გაჩენის და მისი ფართო მარლატურის საფრთხის წინაშე, შედეგითს წამყვანმა პარტიებმა, პირველ რიგში, სოციალ-დემოკრატიებმა ა.მწერებიმ? სწრაფი რეაქცია გამოიჩინეს და საკუთარ სიებში ქალთა კანდიდატებს 50 პროცენტი შეთავაზეს.

პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის პრინციპის კონსტიტუციით ჩაწერის მცდელობა ევროპული ქვეყნებიდან გამოიჩინა რეგრურობით მხოლოდ ბელგიამ, რომელმაც 1994 წელს მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც ქალებს ექნისყრისათვის სიებში შეგანილ კანდიდატთა საერთო რაოდენობის შესამედი უნდა შეედგინათ, მაგრამ 1994 წლის არჩევნების შედეგებმა მილოდინი არ გაამართლა: ქალებს სადემოკრატი ადგილების მისაღებად 19 პროცენტი ერგო. მოგმა ეს სუსტი საკანონმდებლო ბაპით ახსნა. სხვებს მიაჩნიათ, რომ უფრო მნიშვნელოვანია არა კანონით განსაზღვრული კოტეები, არამედ წინასაარჩევნო კამპანიების ხარისხი.

იტალიამ 1993 წელს სცადა რევიზინალურ და ადგილობრივ არჩევნებში ქალთა წარმომადგენლობის კოტეების შემოღება, მაგრამ 2 წლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ გააქვმა ეს შომა, როცორც დისკრიმინაციული. არგენტინისა და ინდოეთისაგან განსხვავებით, ევროპის ქვეყნებში მთავრობები კოტეების შემოღებაზე თავს იკავებენ.

სადღეისოდ მხოლოდ თავად ქალების აქტიური საქმიანობის შედეგად მოხერხდა ჩრდილო ევროპის ქვეყნების პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მათ სასარგებლოდ შეცვლა. აქ ისინი დეპუტატთა საერთო რაოდენობის 30-40 პროცენტს შეადგენენ. ეს ძირითადად იმბავომ მოხდა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა დადებითად უპასუხეს მათ და საკუთარ სიხშირეში ქალები შეიყვანეს და თვითონ შემოიღეს კვოტები.

ევრო-კომისიის მონაცემებით ევრო-კავშირის ქვეყნების პარლამენტებში ქალთა მონაწილეობის პროცენტები ერთ უნიჭადაში (1996-1997) 14,9-დან 17.1 პროცენტამდე გაიზარდა.

თუ პარლამენტებში ქალთა მონაწილეობას მსოფლიო მასშტაბით განვიხილავთ, ლიდერობა ისევ და ისევ ჩრდილო ევროპის ქვეყნებს ეკუთვნის. მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათ ამერიკის კონგრესები, რომელიც მეორე ადგილზეა. მას მოსდევს აზიისა და ევროპის დანარჩენი ნაწილი, ბოლო ადგილზეა არაბული ქვეყნები.

ქვეყნების დიდ უმრავლესობაში მამაკაცები დიდი ხანია სარგებლობენ საარჩევნო უფლებით. შეიქარაიამი, მაგალითად, ეს უფლება 123 წლის წინ მიენიჭათ, ქალებმა კი ამ ქვეყანაში მხოლოდ 1971 წელს მიიღეს ხმის უფლება, საფრანგეთში მამაკაცები 1844 წლიდან აიღვეს ხმას, ქალები 1948 წლიდან, ამერიკის შეერთებულ შტატებში მამაკაცები 1870 წლიდან, ქალები - 1920 წლიდან, იაპონიაში - კაცები 1925 წლიდან, ქალები - 1945 წლიდან.

შემთხვევითი მასალიდან გამოდინარე მიზანშეწონილია, რომ საქართველოს ქალთა ორგანიზაციებმა ოფიციალურად გააკეთონ მიმართვა პარლამენტისა და პარტიებისადმი, რათა შეიქმნათ ევროპულად დაეთმოს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობას. თუ ჩვენ ერთად ვიქნებით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ქალები ანტირემიგანსავე ძალად ვიქცევით, ეს კი საზოგადოებაში არსებული მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის მიღების საშუალებას მოგვცემს.

ქალთა ორგანიზაციების საქმიანობა და მათ მიერ განხორციელებული პროექტები უმეტეს შემთხვევაში საზოგადოების მიღმა რჩება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ტელევიზია, პრესა, სრულყოფილად არ ასახავს ქალების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. მასმედის აქტიურობას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხების გადაწყვეტისა და მათგანობის მხრიდან ქალთა უფლებების დაცვის მხარდაჭერისათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შედარებით კარგად შექლება ქალთა საბჭოს საქმიანობა, პროექტის - "ქალები განვითარების პროცესში" მსვლელობა. რადიოს პირველ არხზე ყოველკვირულად გადის „პროგრამა ქალებისათვის“. ოგი უმთავრესად ეხება სოციალურ თემებს,

გვთავაზობს ინტერვიუებს ცნობილ ქართველ ქალებთან, აშუქებს მრავალმხრივად, ახალგაზრდა დელების პრობლემებს.

ქალებთან დაკავშირებულ საკითხებს, სხვა გამოვლითან შედარებით, უფრო ფართოდ განიხილავენ ისეთი გამოვლითი, როგორებიცაა "ქალთა გამოვლითი" და "დედა". ქალთა გამოვლითი ხშირად იბეჭდება სტატიები ცნობილ და ნაკლებად ცნობილ ქალბატონებზე, იგი ასახავს ახალგაზრდა ქალების ცხოვრებას. აქვე იბეჭდება მასალები ქალთა ორგანიზაციების შესახებ. ეს გამოვლითი გამოდის თვეში ერთხელ, ასევე დიდი მუშაობით და მოგვიწერ არარეგულარულად გამოდის გამოვლითი "დედა", რომელიც დღეობასა და ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, არის სტატიები ბავშვთა სოფლებზე, სოციალურად დაუცველ ხანდაზმულ ქალებზე. გამოდის ერთადერთი ჟურნალი "საქართველოს ქალი", რომლის გირაფი ძალზე მცირეა და ვერ აღწევს ყველა მსურველამდე.

მასმედის მოკლე მიზნობრივი შედეგად ჩანს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ნაკლებად აინტერესებთ ქალთა პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები და სადაც აინტერესებთ, სტატიებს იმდენად არააღვლურული ხასიათი აქვთ, რომ მათი საშუალებით არ ხერხდება რაიმე კონკრეტული მიზნის რეალიზება.

დღეს, ჩვენს სინამდვილეში, საშუალოდ, ქალთა საკითხებთან დაკავშირებით პრობლემების მთელი სექტორი არსებობს: ეკონომიკური პრობლემები, გრადიციები და ქალთა სოციალური პრობლემები, ალადიობა ქალებზე, ქალთა უფლებების დაცვა საქართველოში, ქალთა დაფარული პრობლემები, რომლებიც სათანადოდ არ ასახება მასმედის მიერ. საჭიროა ასევე ქალთა პრობლემების გაშუქებისა და დაცვით მომხრება, თავი ავიარიდოთ უკიდურეს ფემინიზმს.

რეკომენდაციები

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალთა ორგანიზაციების შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და საქმიანი კავშირების დამყარებას. ეს ხელს შეუწყობს მათი ძალების გაერთიანებას, პარტნიორული კავშირების დამყარებას, ერთობლივი პროგრამების მომზადებას, რაც უფრო ეფექტურს გახდის სახელმწიფო სტრუქტურებში ქალთა საკითხების ლობირებას.

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის ასამაღლებლად საჭიროა მათ მიერ საქმიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან,

საკრებულებთან, ამავე დროს – ზრუნვა იმ სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მოძიებაზე, რომლებსაც ძალუძთ მათთვის ქალთა პრობლემების გადაწყვეტაში დახმარება;

მიზანშეწონილი იქნება ხელისუფლების წინაშე შეზღვევი საკითხების დაყენება;

აღგილობრივი მართვის ორგანიზებმა დახმარება აღმოუჩინონ ოფისისათვის ფართისა და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყოფით ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც თავისი საქმიანობით სათანადო ავტორიტეტი მოიპოვეს საზოგადოებაში;

სახელმწიფო სტატისტიკაში სრულად იქნეს ასახული გენდერული ასპექტი;

საზოგადოების ფართო ფენების გათვითცნობიერებისათვის ერთ-ერთი სატელევიზიო არხზე მოეწყოს რეგულარული გადაცემა ქალთა უფლებებზე, მათ სოციალურ და სხვა პრობლემებზე;

საქართველოში მოქმედმა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ პრიორიტეტულად ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებისათვის ხელშეწყობა.

სარჩმვი

ლია ლომიძე

ეკონომიკური რეფორმები და ქალთა ადაპტირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში 3

ლიზა ზახაძე

ქალთა დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის საკითხები საბაზრო ეკონომიკის პირობებში 13

ნათია თურნაშა

ქალთა მონაწილეობა საქართველოს კერძო ბიზნესში 22

ვერონიკა მებონიძე

ქალის სოციალური უფლებები 33

როზა კუხალაშვილი

ქალთა როლისა და აქტიურობის ამაღლების ამოცანები 46

**ქალთა სოშიალური და სპორტულუბრივი
ფორმირება
პარდავებულ კერიორფი**

სემინარის მასალები

ტექ. რედაქტორი ი. ხუციშვილი

შეკვ. № 26

შპს „მერანი-3“-ის სტამბა, თბილისი, რუსთაველის პრ. №42

ტელ.: (+995 32) 92 29 92; (+995 32) 93 53 96

E-mail: merani3@geo.net.ge